პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 16 მარტი, 1946 წ. № 55 (7528). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში — მოწინავე. (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია: საინფორმაციო ცნობა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1946 წლის 15 მარტის გაერთიანებული სხდომის შესახებ, კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ს. პატოლიჩევის მოხსენება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ დეპუტატ ა. თ. გორკინის მოხსენება. (1-ლი და მე-2 გვერდი).

დ. ლომთაძე — გიგანტი მტკვრის პირას. (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად. (მე-3 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში. (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები: დეპეშები. (1-ლი და მე-4 გვერდი).

სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებს დიდი სტალინის ისტორიულ სიტყვას მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. კოლმეურნეები ცდილობენ წარმატებით შეასრულონ სტალინური მითითებები, რაც ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ მოგვცა თავის სიტყვაში 1946 წლის 5 თებერვალს.

საკოლმეურნეო გლეხობის ამ პატრიოტულ მისწრაფებას კარგად გამოხატავს წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვა, რომელიც ჩვენი გაზეთის 13 მარტის ნომერში დაიბეჭდა. წითელწყაროელები გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. ისინი მოუწოდებენ საქართველოს ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

თავიანთ მიმართვაში, რომელსაც, ეჭვი არ არის, მხურვალედ გამოეხმაურება თითეული კოლმეურნე, სოფლის მეურნეობის მუშაკი და სპეციალისტი, წითელწყაროელები სწერენ: „დიდმა სტალინმა მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავების დიადი პროგრამა დაგვისახა. ბელადის სიტყვამ ახალი შრომითი მამაცობისათვის აღგვაფრთოვანა. ჩვენი ამოცანაა მნიშვნელოვნად გავადიდოთ საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა, გავამრავლოთ პირუტყვის სულადობა და ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ჩვენი პატრიოტული ვალია მთლიანად გამოვიყენოთ არსებული ძალები და შესაძლებლობანი, რომ წელს სამშობლოს მივცეთ მეტი პური და სხვა პროდუქტები, გავადიდოთ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი“.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ. სამამულო ომის დღეებში მიღებულ გამოცდილებას ისინი იყენებენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. შარშან მათ 1944 წელთან შედარებით 1.800 ჰექტარით გაადიდეს სათესი ფართობი, საშუალოდ ჰექტარზე 10 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანეს 14,2 ცენტნერი მარცვლეული. ყველა კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები. 1945 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 8.532 ტონა მარცვლეული. გადაჭარბებით არის შესრულებული მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა.

წითელწყაროს რაიონმა გაიმარჯვა უხვი მოსავლის მოყვანისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას გადაეცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო.

ეს წარმატებანი წითელწყაროელმა კოლმეურნეებმა დაძაბული შრომით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოიპოვეს.

მაგრამ წითელწყაროელები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. მათ იციან, რომ წითელწყარო საბჭოთა საქართველოს პურის ერთ-ერთი ძირითადი რაიონია. წელს რაიონმა სახელმწიფოს უფრო მეტი პური, სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტები უნდა მისცეს.

ამიტომ არის, რომ წითელწყაროელი კოლმეურნეები, გამოდიან რა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად, კისრულობენ წელს სახელმწიფო გეგმის გადამეტებით დასთესონ 500 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 15 ცენტნერი მარცვლეული, 9 ცენტნერი მზესუმზირა, 45 ცენტნერი ყურძენი ურწყავზე, ჰექტარზე დაწესებული გეგმის გადამეტებით მიიღონ 20 ცენტნერი კარტოფილი, თვითეულ კოლოფ თესლზე სულ მცირე 45 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი, გადაჭარბებით შეასრულონ მეცხოველეობის განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა ყველა სახის პირუტყვის მიხედვით; კომბაინებისა და სალეწების რემონტი დაამთავრონ ვადაზე 10 დღით ადრე; არ დაუშვან ტრაქტორების მოცდენა და დროულად უზრუნველჰყონ დაწესებული ტექნიკური მოვლის ჩატარება, რითაც ერთ 15-ძალიან ტრაქტორზე წლიური საშუალო გამომუშავება აიყვანონ 450 ჰექტარამდე; მოამზადონ ახალი სასოფლო-სამეურნეო კადრები, გააუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში და გადამეტებით შეასრულონ დამზადების გეგმები.

წითელწყაროელ კოლმეურნეთა შეჯიბრების დროშაზე წარწერილი ეს სერიოზული ვალდებულებანი ამავე დროს მოწოდებაა—მიბაძონ ამ მაგალითს. მაგალითის ძალა კი მუდამ დიდ როლს ასრულებდა ჩვენს წარმატებებში. წითელწყაროელთა კეთილშობილურ თაოსნობას საჭირო მხარი დაუჭირონ საქართველოს ყველა რაიონის კოლმეურნეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა. ისინი უნდა ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში უხვი მოსავლისათვის.

წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვა უნდა გავაცნოთ საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა მასების საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას, უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას.

კოლმეურნე გლეხობას ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად მუშაობის საბრძოლო პროგრამა დაუსახეს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთი დადგენილებით სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. ამ დადგენილებას კოლმეურნე გლეხობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. ჩვენი ვალია მთლიანად შევასრულოთ ის ღონისძიებანი, რომელთაც საკავშირო მთავრობა და ბოლშევიკური პარტია გვისახავენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესასრულებლად.

მაშ ფართოდ გავაჩაღოთ სოფლად სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის!

დავრაზმოთ სოფლის მთელი ძალები საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარების უზრუნველსაყოფად!

საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა სანიტარული მდგომარეობის დათვალიერება

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი მარტისა და აპრილის განმავლობაში აწყობენ სასადილოების, მაღაზიების, სასურსათო ბაზებისა და საწყობების სანიტარული მდგომარეობის მასობრივ დათვალიერებას, რათა შეამოწმონ, თუ რამდენად მზად არიან ისინი გაზაფხულზაფხულის პირობებში მუშაობისათვის.

დათვალიერების ჩასატარებლად კომისიები იქმნება საწარმოთა და დაწესებულებათა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან და ადგილკომებთან.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცეს პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მიაღწიონ იმას, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და მაღაზიების მუშაკებმა დათვალიერების დროს შეისწავლონ და გამოცდა ჩააბარონ სანიტარულ ტექნიკურ მინიმუმში. ამ ვადაში უნდა მოხდეს სასადილოების, ბუფეტების, სასურსათო მაღაზიების, ბაზებისა და საწყობების საჭირო რემონტი და ხელახალი მოწყობა, წესრიგზე მოყვანილ იქნას დანადგარები და ყველა პირობა შეიქმნას მალფუჭებადი პროდუქტების შესანახავად. (საკდესი).

ირანში მიემგზავრება სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი ექსპედიცია

ირანის მთავრობის თხოვნით ამ დღეებში ჩრდილოეთ ირანში გაეგზავნება სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი ექსპედიცია, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის მიწსახკომმა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარმა სამმართველომ. ექსპედიციაში შედიან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალისტები და სამოქალაქო ავიაციის საფრენოსნო-ტექნიკური შემადგენლობის ჯგუფი.

აპრილისა და მაისის განმავლობაში ექსპედიცია ჩაატარებს რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი ნათესების სავიაციო-ქიმიურ დამუშავებას. ამ ნათესებში გავრცელებულია სოფლის მეურნეობის მავნებელთა მატლები. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1946 წლის 15 მარტის გაერთიანებული სხდომის შესახებ

15 მარტს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში შესდგა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

სხდომის თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ჟდანოვი** სიტყვას მოხსენებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ 1946-1950 წლებისათვის აძლევს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ნ. ა. ვოზნესენსკის.**

დეპუტატ ვოზნესენსკის მოხსენების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ თანახმად უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესისა ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების განხილვა და კანონის მიღება მოხდება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე ცალ-ცალკე.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის მეხუთე პუნქტის — სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს — შექმნის განხილვაზე.

თავმჯდომარე აქვეყნებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ბ. სტალინის** განცხადებას:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარეს ამხ. ა. ა. ჟდანოვს.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხი დასმულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, სახალხო კომისართა საბჭოს თავისი მოვალეობანი ამოწურულად მიაჩნია და იხსნის რწმუნებებს უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გთხოვთ აცნობოთ ამის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ი. სტალინი.**

1946 წლის 15 მარტი“.

დეპუტატ **მ. ს. გრეჩუხას** წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას სსრ კავშირის მთავრობის მიერ თავის რწმუნებათა მოხსნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე და ავალებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს წარუდგინოს უმაღლეს საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ“.

სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხის დამტკიცებასთან დაკავშირებით დეპუტატ **ნ. მ. შვერნიკს** უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს წინადადება, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გარდაიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ცალ-ცალკე პალატების მიხედვით მუხლობრივ და მთლიანად ხმის მიცემით ერთხმად ადგენს:

„1. გარდაიქმნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატები — სსრ კავშირის სამინისტროებად. ამის შესაბამისად მომავალში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ეწოდოს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და სსრ კავშირის სახალხო კომისრებს — სსრ კავშირის მინისტრები.

2. გარდაიქმნას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატები — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებად. ამის შესაბამისად მომავალში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს ეწოდოთ — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეების მოადგილეებს — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარის მოადგილეები და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისრებს — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები.

3. შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებები სსრ კავშირის კონსტიტუციის სათანადო მუხლებში“.

ამით მთავრდება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

კავშირის საბჭოს სხდომა

14 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან— კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ჟდანოვი** და კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **ტ. დ. ლისენკო** და **ნ. დ. უნდასინოვი.**

პრეზიდიუმში კავშირის საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების, ხოლო ლოჟებში — ამხანაგების ვ. მ. მოლოტოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ა. ა. ანდრეევის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, ნ. ს. ხრუშჩოვის, გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას, ნ. მ. შვერნიკის გამოჩენას დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან.

თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ჟდანოვი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ნ. ს. პატოლიჩევს.**

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამანდატო კომისიამ, რომელიც აირჩია კავშირის საბჭომ, შეამოწმა კავშირის საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი. შემოწმების შედეგად სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყველა 682 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ სრული შესაბამისობით.

ახასიათებს რა კავშირის საბჭოს დეპუტატების შემადგენლობას, დეპუტატი პატოლიჩევი ამბობს, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატთა შორის არის 287 მუშა, ანუ 42 პროცენტი, 151 გლეხი, ანუ 22 პროცენტი.

კავშირის საბჭოში არჩეულ 682 დეპუტატს შორის 576 კაცი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია და 106 დეპუტატი უპარტიო.

არჩეულ დეპუტატთა შემადგენლობა ასახავს ჩვენი სახელმწიფოს მრავალეროვან ხასიათს.

მქუხარე ტაშით ეგებებიან დეპუტატები მომხსენებლის განცხადებას იმის შესახებ, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან ჩვენი გმირი წითელი არმიის ღირსეული წარმომადგენლები, მისი სახელოვანი მეომრები, სარდლები, სახელგანთქმული მხედართუფროსები. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მათი არჩევით საბჭოთა ხალხმა გამოხატა თავისი უსაზღვრო სიყვარული მშობლიური წითელი არმიისადმი, რომელმაც სასტიკ ბრძოლაში გაანადგურა მტერი დასავლეთსა და აღმოსავლეთში, დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა და იხსნა ცივილიზებული მსოფლიო ფაშისტ ბარბაროსთაგან.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს კავშირის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობას და აღნიშნავს, რომ დეპუტატებად არჩეულია 116 ქალი.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა შორის 535 კაცი, ანუ 78,5 პროცენტი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, 48 დეპუტატი — საბჭოთა კავშირის გმირია, მათგან 11 დეპუტატი — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი და სამი დეპუტატი — სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი. 39 დეპუტატი სოციალისტური შრომის გმირია, 19 — სტალინური პრემიის ლაურეატი.

შემდეგ სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს მოჰყავს ციფრები, რომლებიც მკაფიოდ მოწმობენ იმ ერთსულოვნებას, რაც საბჭოთა ხალხმა გამოიჩინა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით. კავშირის საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 100.621.225 ამომრჩეველმა, რაც ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,18 პროცენტს შეადგენს. ეს, ამბობს დამსწრეთა მქუხარე ტაშის გრიალში სამანდატო კომისიის თავმჯდომარე, მოწმობს ამომრჩეველთა აქტივობას, რაც უმაგალითოა მსოფლიოში, განვლილი არჩევნების ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათს. ეს მოწმობს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სრულ გამარჯვებას.

— საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ღირსეულად გაუძლო ომის უმძიმეს გამოცდას და დაამტკიცა თავისი სრული სიცოცხლისუნარიანობა, — ამბობს დეპუტატი პატოლიჩევი. — კომუნისტურმა პარტიამ, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ძალამ, გაამართლა ხალხის იმედები და მისწრაფებანი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში საბჭოთა ხალხმა, რომელმაც განვლო მკაცრი განსაცდელი და სძლია ომის უდიდესი სიძნელენი, კიდევ უფრო მეტი ძალით დაგვანახვა თავისი ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და დარაზმულობა საკავშირო კომუნისტური პარტიის, თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო. **(მქუხარე ტაში).**

დეპუტატი პატოლიჩევი ამთავრებს თავის მოხსენებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენი ხალხი აღსავსეა დაუცხრომელი ნებისყოფით მოიპოვოს გამარჯვება, განახორციელოს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანები.

დამსწრენი ამ სიტყვებს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან.

სამანდატო კომისიას კავშირის საბჭოს სესიის დასამტკიცებლად შეაქვს წინადადება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული კავშირის საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ბ. ნ. ჩერნოუსოვს.**

— უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა, — ამბობს იგი, — უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში და საბჭოთა ხალხის ერთიანობისა და დარაზმულობის მძლავრი დემონსტრაცია იყო. უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები გვიჩვენებენ, რომ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 99,7 პროცენტმა მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში. კენჭისყრაში ასეთი მონაწილეობა შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც არის სტალინური კონსტიტუცია და ნამდვილი ხალხური დემოკრატია. უმაღლეს საბჭოში არჩეული არიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში ფრონტზე იარაღით და ზურგში თავიანთი თავდადებული შრომით მთელ ხალხთან ერთად, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. 10 თებერვალს საბჭოთა ადამიანებმა ხმა მისცეს ბოლშევიკური პარტიის დიად პროგრამას, რომელიც მოცემულია ამხანაგ სტალინის მიერ ქალაქ მოსკოვის სტალინის ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში.

დეპუტატმა ჩერნოუსოვმა აღნიშნა, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მხურვალედ გამოეხმაურა ამხანაგ სტალინის სიტყვას, და სთქვა, რომ საბჭოთა ადამიანებმა ბელადის სიტყვა მიიღეს როგორც ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დროშა.

დეპუტატ ჩერნოუსოვს შეაქვს შემდეგი წინადადება:

1. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება ყველა 682 საარჩევნო ოლქში არჩეული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ.

2. დამთავრებულად ჩაითვალოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა.

დეპუტატ ჩერნოუსოვის წინადადებები ერთხმად იქნა მიღებული.

სესია გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ **ა. თ. გორკინს.** ამხ. გორკინი ამბობს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა VIII სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში გამოსცა ბრძანებულებები მთელი რიგი საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების შექმნისა და გარდაქმნის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ა. თ. გორკინს შემდეგ სესიის დასამტკიცებლად შეაქვს 1945 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულება უმაღლეს საბჭოში ასარჩევ მოქალაქეთა სასაკო ცენზის შესახებ და აქვეყნებს კანონის პროექტს, რომელიც წარედგინება სესიას განსახილველად და დასამტკიცებლად.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ ერთხმად იქნა მიღებული.

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს სხდომა. ცხადდება შესვენება 15 მარტის საღამოს 7 საათამდე. (საკდესი).

ამერიკელ სლავთა კონგრესის თავმჯდომარის კრეიცკის განცხადება

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). ამერიკელ სლავთა კონგრესის თავმჯდომარე კრეიცკი სიტყვით გამოვიდა ნიუ-იორკში მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის ბურჯია, ხოლო სტალინი—მომავლის ლამპრის მატარებელი. ჩერჩილის სიტყვა, „რომელშიც უკანასკნელი მოუწოდებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამღვთო ომისაკენ“, კრეიცკიმ დაუპირდაპირა სტალინის განცხადებებს, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი საერთაშორისო მშვიდობას. კრეიცკის სიტყვით, ეს ორი კაცი ამჟამად ცხოვრების ორი გზის სიმბოლოები არიან. ჩერჩილი „ტორების და არქაული კოლონიური სისტემის რეაქციული წარმომადგენელია, რომელსაც მიზნად აქვს შეინარჩუნოს სტატუს-ქვო ძალთა თანასწორობის პოლიტიკის გატარებით“. სტალინი სიმბოლოა „დინამიკური სოციალიზმისა, ნახევრად ფეოდალური პროფაშისტური რეჟიმებისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებისა და კოლონიური ხალხების ემანსიპაციისა“.

კრეიცკიმ კომენტარი გაუკეთა თავის ამას წინანდელ მოგზაურობას აღმოსავლეთ ევროპაში და განაცხადა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ერთიანობამ და სულიერმა აღორძინებამ, აგრეთვე ფართო სოციალურმა, ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა ბულგარეთსა, ჩეხოსლოვაკიასა, პოლონეთსა და იუგოსლავიაში. მისი სიტყვით, სლავ ხალხთა ერთიანობა იმდენად დიდია, რომ „ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ შესძლებს მათ გათიშვას“.

პოლონეთის შესახებ კრეიცკიმ განაცხადა, რომ მუშები, განსაკუთრებით ქვანახშირის მაღაროების მუშები, სასწაულებს ახდენენ რეკონსტრუქციის დარგში. იუგოსლავიაში ერთიანობა უფრო მეტად იჩენს თავს, ვიდრე ოდესმე ისტორიაში ყოფილა. მან დიდად შეაქო ტიტო და ბულგარეთის ლიდერები—დიმიტროვი და დრაგოიჩევა.

საბჭოთა კავშირის შესახებ კრეიცკიმ განაცხადა: „მე გამოვიტანე გარკვეული შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა სისტემა დაფუძნებულია, უმთავრესად, შრომაზე, კულტურაზე, დედისა და ბავშვის დაცვაზე და მშვიდობისათვის ბრძოლაზე. შეგვიძლია დავარწმუნოთ, რომ კაცობრიობას არ ექნებოდა მიზეზი შინებოდა ახალი ომებისა, ყველა სხვა სახელმწიფოები ასეთსავე საფუძველზე რომ ყოფილიყვნენ დამყარებულნი“. მისი სიტყვით, საბჭოთა კავშირის გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში დამყარებულია არა პროპაგანდაზე, არამედ „მაგნეტურ მიმზიდველ ძალაზე“, ფაშიზმის განადგურების საქმეში მის მიერ შეტანილ დიდ წვლილზე და სოციალისტურ სისტემაზე.

ბანკეტზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ამერიკელ სლავთა კონგრესის ვიცე-თავმჯდომარე ბალოკოვიჩი, რომელმაც განაცხადა, რომ სლავი ხალხები ამჟამად პირველად გახდნენ თავიანთი ბედიღბლის ბატონ-პატრონები. მან მკვეთრად გაილაშქრა ჩინეთსა, საბერძნეთსა და ეგვიპტეში ინგლისისა და ამერიკის ჯარების ყოფნის წინააღმდეგ, თურქეთში სახაზო გემ „მისურის“ გაგზავნის წინააღმდეგ და ისტერიული შპიონომანიის წინააღმდეგ, რამაც ატომურ ბომბთან დაკავშირებით იჩინა თავი.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე დემოკრატი სენატორი მაიერსი (პენსილვანიის შტატისაგან). მან დაჰგმო ომის გაჩაღება ამერიკის შეერთებულ შტატებში „შიშით შეპყრობილი უმცირესობის მიერ, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის შესახებ“. მან განაცხადა, რომ ამ უმცირესობას ეშინოდა რუზველტისა და ბრალს სდებდა მას „კომუნიზმში“. როგორც მაიერსმა შემდეგ განაცხადა, იგი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხალხს არ სურს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომი, მაგრამ „მუდმივ თავდასხმას, ყოველდღიურ ბრალდებას, სენსაციურ ისტორიებს და შიშისა და ეჭვიანობის გამოთქმას შეიძლება ტრაგიკული და კატასტროფული შედეგი მოჰყვეს“.

ბანკეტს დაესწრო ათასზე მეტი სტუმარი, რომელთა შორის იყო ბევრი თვალსაჩინო პროფკავშირული მოღვაწე. სხვა ორატორებს შორის სიტყვებით გამოვიდნენ, როგორც თავიანთი მთავრობების ოფიციალური წარმომადგენლები, პოლონეთის ელჩი ლანგე, ბულგარეთის წარმომადგენელი გენერალი სტოიჩევი და იუგოსლავიის დელეგატი გაერთიანებული ერების სესიაზე ვავრილოვიჩი. თავიანთ სიტყვებში ისინი მიესალმნენ კრეიცკის და მოუწოდებდნენ ყველა სლავი ხალხისა და ქვეყნის ერთიანობისა და მეგობრობისაკენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ს. პატოლიჩევის მოხსენება

— ამხანაგო დეპუტატებო! კავშირის საბჭოს მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლის საფუძველზე არჩეულმა სამანდატო კომისიამ შეამოწმა კავშირის საბჭოს დეპუტატთა რწმუნებანი. კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიამ განიხილა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ოქმები და საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის ოქმები. ცალცალკე თვითეული დეპუტატის ყველა დოკუმენტის შემოწმების შემდეგ სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ყველა 682 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ ზუსტი შესაბამისობით, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ შესულა არავითარი საჩივარი და განცხადება, რომელთაც საეჭვოდ გაეხადათ კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები რომელიმე ოლქში. ამიტომ არც ერთ საარჩევნო ოლქში არ არის არავითარი საბაბი არჩევნების გაუქმებისათვის.

ნება მიბოძეთ შევუდგე კავშირის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობის დახასიათებას. კავშირის საბჭოს დეპუტატთა შორის არის 287 მუშა, ანუ 42 პროცენტი. მათგან 231 კაცი მუშაობს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, სამხედრო და საზოგადოებრივ სამუშაოზე. კავშირის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არის 151 გლეხი, ანუ 22 პროცენტი. მათგან 57 კაცი მუშაობს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, სამხედრო და სხვა სამუშაოზე, დანარჩენი მუშაობს უშუალოდ სოფლის მეურნეობაში, მათ შორის 44 კაცი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

კავშირის საბჭოში არჩეულ 682 დეპუტატთა შორის 576 დეპუტატი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრია და 106 დეპუტატი უპარტიოა. კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეულია 169 პარტიული და საზოგადო მუშაკი, 198 საბჭოთა მუშაკი, 41 სამეურნეო მუშაკი, 57 მეცნიერებისა და კულტურის მუშაკი. კავშირის საბჭოს შემადგენლობაში არის საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეთა დიდი ჯგუფი.

ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა მეცნიერების მნიშვნელობას ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომს განვითარებაში და რწმენა გამოსთქვა, რომ ჩვენი მეცნიერები შესძლებენ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს ხანში კიდევაც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა ხალხი, საბჭოთა სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარებიან მეცნიერებს ამ ამოცანის გადაჭრაში. მეცნიერები ჩვენში ხალხის დიდი პატივისცემით სარგებლობენ. თვრამეტი აკადემიკოსი, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები, არჩეულია კავშირის საბჭოს დეპუტატად. მათი სახელი და ნაშრომები ცნობილია მთელს მსოფლიოში.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არიან გამოჩენილი კონსტრუქტორები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები.

ამხანაგო დეპუტატებო! არჩეულ დეპუტატთა შემადგენლობა ასახავს ჩვენი სახელმწიფოს მრავალეროვან ხასიათს. გასული რვა წლის მანძილზე განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის მოსახლე ხალხთა მეგობრობა.

ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ „საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება აღმოჩნდა მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუში, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციის ისეთ სისტემას, სადაც ეროვნული საკითხი და ერების თანამშრომლობის პრობლემა გადაწყვეტილია უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა მრავალეროვან სახელმწიფოში“.

ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა კავშირის საბჭოს ეროვნულ შემადგენლობაში, სადაც სრულად არიან წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის მოსახლე ეროვნებანი.

საბჭოთა კავშირის ხალხების მიერ ფაშისტი ავაზაკებისაგან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დაცვის დროს ომის ველებზე დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი სამშობლოს ხალხთა დიდი მეგობრობა და ძმობა.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოში დიდ ჯგუფს შეადგენენ ჩვენი გმირი წითელი არმიის წარმომადგენლები—მისი სახელოვანი მეომრები, მისი მხედართუფროსები, მისი სახელგანთქმული სარდლები — გენერლები და მარშლები. საბჭოთა ხალხმა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მათი არჩევით გამოხატა თავისი უსაზღვრო სიყვარული მშობლიური წითელი არმიისადმი, რომელმაც სასტიკ ბრძოლაში შემუსრა მტერი დასავლეთსა და აღმოსავლეთში, დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება, დამოუკიდებლობა და ფაშისტური ბარბაროსობისაგან იხსნა ცივილიზებული მსოფლიო. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! კავშირის საბჭოს დეპუტატთა შორის 116 ქალია. ეს მკაფიოდ მოწმობს, რომ საბჭოთა სახელმწიფოში ქალთათვის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში უზრუნველყოფილია მამაკაცთა უფლებების ნამდვილი თანაბარი უფლებები. დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ქალებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს. ფრონტებზე, ქარხნის დაზგებთან და საკოლმეურნეო მინდვრებში ჩვენი ქალები მამაცურად და მედგრად იბრძოდნენ მტერზე ჩვენი გამარჯვების უზრუნველსაყოფად. მხოლოდ საბჭოთა წყობილებას შეეძლო ასე გაეძლიერებინა ქალთა შემოქმედებითი ინიციატივა, გამოეზარდა სტახანოველი ქალები, საბჭოთა კავშირის გმირი ქალები, სტალინური პრემიის ლაურეატი ქალები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ქალები.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა შორის 535 დეპუტატი ანუ 78 პროცენტი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. 48 დეპუტატი საბჭოთა კავშირის გმირია, აქედან 11 დეპუტატი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირია და სამი დეპუტატი—სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი. **(ტაში).** კავშირის საბჭოს 39 დეპუტატი სოციალისტური შრომის გმირია, 19 დეპუტატი—სტალინური პრემიის ლაურეატი.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა შორის არის უმაღლესი განათლების მქონე 250 კაცი. დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე 39 კაცი და საშუალო განათლების მქონე 160 კაცი. ამრიგად, კავშირის საბჭოს დეპუტატთა ორ მესამედს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. უმაღლესი განათლების მქონე დეპუტატთა შორის არიან ინჟინრები, პედაგოგები, ეკონომისტები, აგრონომები, ექიმები და სხვა სპეციალობათა ადამიანები.

მომყავს ცნობები ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ: კავშირის საბჭოში 23-დან 25 წლამდე ასაკის დეპუტატი 12 კაცია, 26-დან 35 წლამდე—97 კაცი, 36-დან 40 წლამდე—176 კაცი, 41-დან 45 წლამდე—194 კაცი, 46-დან 50 წლამდე—114 კაცი, 50 წლისაზე მეტი ხნისა—89 კაცი.

ამხანაგო დეპუტატებო! 1946 წლის 10 თებერვალს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, ამომრჩეველთა 101.717.686 საერთო რიცხვიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 101.450.936 კაცმა, რაც შეადგენს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,7 პროცენტს.

კავშირის საბჭოს არჩევნების დროს ყველა საარჩევნო ოლქში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 100.621.225 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა მთელი რიცხვის 99,18 პროცენტს. ეს მოწმობს ამომრჩევლების მსოფლიოში უმაგალითო აქტივობას, ჩატარებული არჩევნების ნამდვილ საყოველთაო სახალხო ხასიათს. ეს მოწმობს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სრულ გამარჯვებას. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატია. საბჭოთა ხალხმა, ერთსულოვნად მისცა რა ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ამით სავსებით მოიწონა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, უსაზღვრო ნდობა გამოუცხადა ლენინ-სტალინის პარტიას. **(მქუხარე ტაში).**

„ომმა,—ამბობს ამხანაგი სტალინი, —გამოცდის მსგავსი რამ მოუწყო ჩვენს საბჭოთა წყობილებას, ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს მთავრობას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას და შეაჯამა მათი მუშაობა, თითქოს გვეუბნებოდა: აი ისინი, თქვენი ადამიანები და ორგანიზაციები, მათი საქმენი და დღენი, —კარგად დააკვირდით მათ და ჯეროვანი მიუზღეთ მათი საქმეების მიხედვით“.

საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ ღირსეულად გაუძლო ომის უძნელეს განსაცდელს და დაამტკიცა თავისი სრული ცხოველუნარიანობა. კომუნისტურმა პარტიამ, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ძალამ, გაამართლა ხალხის იმედები და მისწრაფებანი. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ომის სასტიკი განსაცდელი გამოიარა და დასძლია მისი უდიდესი სიძნელეები, ცხადჰყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში თავისი ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და დარაზმულობა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების), თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყანა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მძლავრი და ძლიერი გამოვიდა ომიდან. უმაღლესი საბჭოს სესიამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის. ჩვენს წინაშე არის ამოცანა—აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით.

ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა უფრო ხანგრძლივი პერიოდის ამოცანაც: მოვაწყოთ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთისამად ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე ომამდელ დონესთან შედარებით.

ჩვენი ქვეყანა ახალი დიდი აღმავლობისაკენ მიდის, და ვერავითარი ძალა ვერ შეგვიშლის ხელს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების გზით წარმატებით წინსვლაში.

ჩვენი ხალხი, ისევე როგორც ომიანობის წლებში, ალსავსეა ურყევი ნებისყოფით გამარჯვებისადმი, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისადმი. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგად კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიამ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც შემოაქვს თქვენს განსახილველად.

„შეამოწმა რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი კავშირის საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა ცალცალკე თვითეული დეპუტატის მიხედვით, კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია ადგენს:

1. კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყველა 682 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მათი სრული შესაბამისობით.

2. არავითარი საფუძველი არჩევნების გაუქმებისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში კონსტიტუციის და „არჩევნების დებულების“ დარღვევის გამო არც საარჩევნო ოლქებში და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ არის.

აღნიშნულის საფუძველზე, სამანდატო კომისია სცნობს კავშირის საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებათა სისწორეს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ და რომელთა სიაც გამოქვეყნებულია გაზეთ „იზვესტიის“ 1946 წლის 14 თებერვლის № 40-ში“. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ ე. ი. ურალოვას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ ჩვენს დასამტკიცებლად წარმოადგინა მოხსენება 1946 წლის 10 თებერვალს ეროვნებათა საბჭოში არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ.

მოხსენებაში მოყვანილი ციფრები მოწმობენ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას. ეს მეგობრობა შემოწმებულია დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში, იგი განმტკიცდა და გამოიწრთო, როგორც ფოლადი. დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დარღვევა.

ამ ურღვევ მეგობრობას მკაფიოდ მოწმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები. ჩვენი პალატა შესდგება 49 ეროვნების დეპუტატებისაგან. ყველა ისინი არჩეული არიან ხმის აბსოლუტური უმეტესობით. ამომრჩეველთა 99 პროცენტზე მეტმა სიხარულით მისცა ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. ხმის მიცემაში აქტიური მონაწილეობით ჩვენი სამშობლოს ხალხებმა ცხადჰყვეს თავიანთი სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. ასეთი აქტივობა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებულობა, ასეთი ერთიანობა, სახელმწიფოს ბედით ხალხის ასეთი სასიცოცხლო დაინტერესება წარმოუდგენელია ყოველ სხვა ქვეყანაში.

ერთსულოვანი ხმის მიცემით ას მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა მოიწონა კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა და უდიდესი ნდობა გამოუცხადა მას. არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაგვანახვეს, თუ რა მახლობელი და ძვირფასია კომუნისტური პარტია ხალხისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი ქვეყნის ქალთა პოლიტიკური აქტივობა. ისინი, ისევე როგორც მამაკაცები, ორგანიზებულად მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. ამხანაგ სტალინს არაერთხელ აღუნიშნავს საბჭოთა ქალის კოლოსალური როლი სამამულო ომის წლებში. მან სთქვა, რომ ქალები თავიანთი მამების, ქმრებისა და ძმების ღირსნი აღმოჩნდნენ. ისინი წარმატებით სცვლიდნენ ფრონტზე წასულ მამაკაცებს. ჩვენმა ხალხმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ქალების პოლიტიკურ აქტივობას და მათს შრომით გმირობას ომის დროს. მათ, ქალებს, გამოეცხადათ მაღალი ნდობა, მათგან საუკეთესონი არჩეული არიან სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებად. ჩვენი პალატის დეპუტატთა მეოთხედ ნაწილს ქალები შეადგენენ.

ამხანაგო დეპუტატებო! ეროვნებათა საბჭოში ჩვენ ვხედავთ იმ დეპუტატთა მნიშვნელოვან ჯგუფს, რომლებიც ჩვენს სახელოვან წითელ არმიას წარმოადგენენ. საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი არმია და მისი მადლიერია დასავლეთში გერმანელ დამპყრობთა და აღმოსავლეთში იაპონელ იმპერიალისტთა განადგურებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, როგორც დემონსტრაცია საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ხალხის უსაზღვრო ნდობისა, ჩვენი სამშობლოს მხსნელის, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და შემოქმედის ამხანაგ სტალინისადმი საბჭოთა ხალხის სიყვარულისა და მადლობისა. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! ბელორუსიის, მოსკოვისა და ყაზახეთის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შემომაქვს შემდეგი წინადადება:

1. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება ყველა 657 საარჩევნო ოლქში არჩეული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ.

2. დამთავრებულად ჩაითვალოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა.

დეპუტატ ბ. ნ. ჩერნოუსოვის სიტყვა

— ამხანაგო დეპუტატებო! სამანდატო კომისიის მოხსენებიდან სჩანს, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები ჩატარდა კონსტიტუციისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში და საბჭოთა ხალხის ერთიანობისა და დარაზმულობის მძლავრი დემონსტრაცია იყო.

უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები გვიჩვენებენ, რომ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 99,7 პროცენტმა მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში. კავშირის საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,18 პროცენტმა ხმა მისცა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. კენჭისყრაში ასეთი მონაწილეობა შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც არის სტალინური კონსტიტუცია და ნამდვილი ხალხური დემოკრატია.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატია. უმაღლეს საბჭოში არჩეული არიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში ფრონტზე იარაღით და ზურგში თავიანთი თავდადებული შრომით მთელ ხალხთან ერთად, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხი წარმოდგენილია უმაღლეს საბჭოში. უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა მთელ მსოფლიოს დაანახვა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის დიდი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა. ერთსულოვანი ხმის მიცემით საბჭოთა ხალხმა კვლავ დაადასტურა თავისი სრული ნდობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი და გამოხატა თავისი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინისადმი.

10 თებერვალს საბჭოთა ადამიანებმა ხმა მისცეს ბოლშევიკური პარტიის დიად პროგრამას, რომელიც მოცემულია ამხანაგ სტალინის მიერ ქალაქ მოსკოვის სტალინის ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

მთელი ჩვენი ქვეყანა მხურვალედ გამოეხმაურა ამხანაგ სტალინის სიტყვას და მიიღო იგი, როგორც ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დროშა.

არჩევნების შედეგები გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა ხალხი გამოსთქვამს თავის მზადყოფნას — ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს პარტიას, მთავრობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კულტურის აღდგენისა და შემდგომი განვითარების და საბჭოთა კავშირის მშრომელთა საარსებო დონის ამაღლების ამოცანათა გადაჭრაში.

ამხანაგო დეპუტატებო! მიმაჩნია რა სავსებით სწორად სამანდატო კომისიის დასკვნები და წინადადებანი, შემდეგი წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, კავშირის საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება ყველა 682 საარჩევნო ოლქში არჩეული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ.

2. დამთავრებულად ჩაითვალოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

დეპუტატ ა. თ. გორკინის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა VIII სესიიდან განვლილ პერიოდში გამოსცა ბრძანებულებანი სახალხო კომისარიატების გარდაქმნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით შეიქმნა შემდეგი საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატები: 1941 წლის 28 მარტის ბრძანებულებით შეიქმნა რეზინის მრეწველობის სახალხო კომისარიატი, 1941 წლის 5 ივნისს — დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატი, 1945 წლის 14 ოქტომბერს — სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი, 1946 წლის 7 იანვარს—სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი.

1946 წლის 19 იანვრის ბრძანებულებით შექმნილია ორი საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატი—მძიმე ინდუსტრიის საწარმოების მშენებლობის სახალხო კომისარიატი და სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოების მშენებლობის სახალხო კომისარიატი. 1946 წლის 28 იანვარს შეიქმნა სათბობის საწარმოთა მშენებლობის სახალხო კომისარიატი და 1946 წლის 17 თებერვალს—სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი.

1946 წლის 19 იანვრის ბრძანებულებით ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატი გაიყო ორ საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატად—სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატად და სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატად.

1945 წლის 11 ნოემბერს შეიქმნა ტექნიკური კულტურების საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

1946 წლის 17 თებერვლის ბრძანებულებით სანაღმტყორცნო შეიარაღების სახალხო კომისარიატი გარდაიქმნა მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სახალხო კომისარიატად, ხოლო საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი — საავტომობილო მრეწველობის სახალხო კომისარიატად.

1946 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებებით სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი გარდაიქმნა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სახალხო კომისარიატად და გაუქმდა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი.

ბოლოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 4 მარტის ბრძანებულებით ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატი გაიყო ორ სახალხო კომისარიატად — სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატად და სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატად.

სასოფლო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სახალხო კომისარიატისა და ტრანსპორტის მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდნენ საომარ მასალათა სახალხო კომისარიატი, მშენებლობის სახალხო კომისარიატი და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

სახალხო კომისარიატების ეს გარდაქმნა გამოწვეულია სახელმწიფო მართველობის ზოგიერთი დარგების გარდაქმნის საჭიროებით. ახალი კომისარიატების შექმნა აუცილებელ ორგანიზაციულ წანამძღვარებს იძლევა სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფი აღდგენისა და ახალი აღმავლობის უზრუნველყოფისათვის.

პრეზიდიუმს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს აგრეთვე 1945 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულება „სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა სასაკო ცენზის შესახებ, რომელნიც აირჩევიან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში“.

კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიისა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა სასაკო ცენზი 23 წელი სსრ კავშირის იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც აირჩევიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად. ამის შესაბამისად „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება“ შევსებულ იქნა ახალი მესამე მუხლით.

რამდენადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბრძანებულებები ეხებიან კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლებს, არის წინადადება სათანადო ცვლილებანი და დამატებანი იქნას შეტანილი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლებში, რომლებშიც ჩამოთვლილია საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები, და სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია საბჭოების დეპუტატებად ასარჩევ სსრ კავშირის მოქალაქეთა სასაკო ცენზი.

აი ის ბრძანებულებები, რომლებიც პრეზიდიუმს შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

ახლა ნება მიბოძეთ წავიკითხო პროექტი კანონისა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ“:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის შემდეგ, და შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 77.** საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან შემდეგი სახალხო კომისარიატები:

საგარეო ვაჭრობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
საზღვაო ფლოტისა;
სამდინარო ფლოტისა;
დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობისა;
აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობისა;
სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობისა;
აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობისა;
ელექტროსადგურებისა;
ელექტრომრეწველობისა;
შავი მეტალურგიისა;
ფერადი მეტალურგიისა;
ქიმიური მრეწველობისა;
საავიაციო მრეწველობისა;
გემთმშენებელი მრეწველობისა;
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა;
შეიარაღებისა;
მძიმე მანქანათმშენებლობისა;
საავტომობილო მრეწველობისა;
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობისა;
დამზადებათა;
მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისა;
სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობისა;
ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობისა;
რეზინის მრეწველობისა;
დაზგათმშენებლობისა;
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა;
სათბობის საწარმოთა მშენებლობისა;
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა“.

მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან შემდეგი სახალხო კომისარიატები:

შეიარაღებულ ძალებისა;
საგარეო საქმეთა;
კვების მრეწველობისა;
თევზის მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
ტექნიკური კულტურებისა“.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის იმ მოქალაქეთათვის სასაკო ცენზის შესახებ, რომლებიც აირჩევიან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში“, შეტანილ იქნას სათანადო დამატება სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 135.** დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატების არჩევნებში და არჩეულ იქნას, გარდა შეშლილებისა და იმ პირთა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი 23 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად მისი რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის აღსანიშნავად საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელნი სტახანოვურ ვახტზე დგებიან და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მძლავრ შემოქმედებითს შრომაში ნათლად არის გამოხატული მათი პატრიოტიზმი, მათი მისწრაფება მეტი ნაყოფი მოუტანონ სოციალისტურ სამშობლოს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობის დაწყების შესახებ მასალების გაცნობისას წარჩინებულმა მჭედელმა ამხ. ვ. გამხუაშვილმა განაცხადა:

— ჩვენი ქვეყნის რჩეულნი განიხილავენ და დაამტკიცებენ ახალ ხუთწლიან გეგმას — ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმას. ჩვენ ამ გეგმას ხორცი უნდა შევასხათ. ეს უზრუნველჰყოფს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ ამაღლებას ჩვენს საბედნიეროდ, მტრისათვის თავზარდასაცემად.

ამხ. ვ. გამხუაშვილი 11 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის პატივსაცემად სტახანოვურ ვახტზე დადგა და ყოველდღიურად დავალებებს ერთისამად და ერთიოთხად ასრულებს.

კიდევ უფრო მეტ წარმატებას აღწევს სესიის მუშაობის დღეებში ორდენოსანი მჭედელი ამხ. კ. ილურიძე, რომელიც ნორმას ყოველთვის 400-500 პროცენტით ასრულებს.

დიდი შრომითი აღმავლობაა ქარხნის საინსტრუმენტო საამქროში. ზეინკალი ამხ. გ. ჯებაშვილი, რომელიც 25 წელია რაც ქარხანაში მუშაობს, ამ დღეებში გეგმებს 275-300 პროცენტით ასრულებს. მას არ ჩამორჩებიან ხარატები ამხ. ა. ზარდიაშვილი და ა. ლუცენკო.

ამწყობ საამქროში ზეინკალი შ. ხუროშვილი სისტემატურად სამ-სამნახევარ ნორმას ასრულებს, ხოლო ცნობილი ზეინკალი ამხ. ს. ბაბაევი—ოთხ-ხუთ ნორმას. გადაჭარბებით ასრულებენ უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებებს აგრეთვე ზეინკალი მ. იაშვილი, მექანიკური საამქროს ხარატი რ. შავკანი, ხარატი მ. ბობროვი, ზეინკალი მ. დოროფეევი და მრავალი სხვა.

ქარხნის მთელი რიგი საამქროები გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს.

საორთქლმავლო დეპოში არ არის ისეთი მუშა, რომელიც გადაჭარბებით არ ასრულებდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. შემდუღებელმა ამხ. პატარქალიშვილმა, რომელიც სტახანოვურ ვახტზე დგას, 11 მარტს დავალება 550 პროცენტით შეასრულა, მეორე დღეს ექვსნახევარი ნორმა გამოიმუშავა, შემდეგ დღეებში კი ათ ნორმაზე მეტს იძლევა. ზეინკლებმა ადამეცკიმ და მეელუმიანმა 11 მარტს დავალება 251 პროცენტით შეასრულეს, 12 მარტს — 293,1 პროცენტით, ხოლო 13 მარტს ხუთ-ხუთი ნორმა გამოიმუშავეს. ასევე მზარდი ნაყოფიერებით იმუშავეს ამ დღეებში ხარატებმა ცერაძემ, პაპიაშვილმა და ზეინკალმა სოლოვიოვმა. მჭედელმა ინჯიაშვილმა 11 მარტს გეგმა 245,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო 13 მარტს—300 პროცენტით.

ლუნინურად მუშაობენ მემანქანეებიც, რომლებსაც ორთქლმავლები ზუსტად გრაფიკით და უავარიოდ დაჰყავთ, ამასთან საწვავის ეკონომიასაც ეწევიან. მემანქანე ჩერბაძემ ამ დღეებში 865 კილოგრამი სათბობი დაზოგა, მემანქანე ქიმერიძემ — 868 კილოგრამი, ხოლო მემანქანე ტუაძემ 1.137 კილოგრამი. მემანქანეებმა გიუნაშვილმა და ლომსაძემ სათბობის ეკონომიასთან ერთად ორთქლმავლის ტექნიკური სიჩქარე გაზარდეს.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის „ა“ ცვლის მეექვსე კომპლექტმა საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის საამქროს წითელი დროშა მოიპოვა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად მუშებმა ახალი ძალით გააჩაღეს შრომა. სტახანოველმა მქსოველმა თ. ურთაშვილმა 14 მარტს დღიური დავალება შეასრულა 148 პროცენტით, ა. აირაპეტოვამ — 150 პროცენტით, ხოლო მთელმა „ა“ ცვლამ ვალდებულებით ნაკისრი 103 პროცენტის ნაცვლად დღიური დავალება 112 პროცენტით შეასრულა. არანაკლები საწარმოო წარმატებებით აღნიშნავს სესიის მუშაობას საქსოვი საამქროს „ბ“ ცვლის კოლექტივი. ოთხლაზოსნები თ. ნათელაშვილი, ნ. მელიქაძე ყოველდღიურ გეგმებს 130-150 პროცენტით ასრულებენ.

სტახანოვურ ვახტზე დგას **თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის** პირველი საამქრო. პირველსავე დღეს, 13 მარტს, საამქრომ დავალება 170 პროცენტით გაანაღდა. მესამე საამქროს კოლექტივმა იკისრა მარტის გეგმა შეასრულოს 130 პროცენტით. 13 მარტს ამ საამქრომ დავალება 142 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ მკერავები ვ. გეგეჭკორი, ე. რევაზიშვილი, თ. ფანოზიშვილი, ვ. ალიევა და სხვები.

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში სტახანოველთა თათბირზე, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნას მიეძღვნა, ცნობილმა მჭედელმა ვ. კორძაძემ განაცხადა:

— საბჭოთა სამშობლომ ლენინის ორდენით დამაჯილდოვა, მაღალი შეფასება მისცა ჩემს მუშაობას. ამ ჯილდოს პასუხად პირობას ვიძლევი ერთი წუთითაც არ შევანელო მუშაობის ტემპები. კიდევ უფრო ბეჯითად ვიშრომებ ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის, მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

სახელოვანმა მჭედელმა 13 მარტს დღიური დავალება 1.100 პროცენტით შეასრულა.

საბრძოლო ვალდებულებანი იკისრეს ცნობილმა მეყალიბემ მირზოევმა, შემდუღებელმა ხოროშილოვმა, მეტვიფრე ნოდაროვმა, მეყალიბე მელაძემ, მღარველმა ბედენკომ და სხვებმა. ისინი ამ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

შორაპნის რკინიგზის კვანძის მუშაკები განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობენ ამ დღეებში. მარგანეცის მტვირთავთა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ქათამაძე ხელმძღვანელობს, სესიის აღსანიშნავად იკისრა გაზარდოს შრომის ნაყოფიერება. 11 მარტს ბრიგადის წევრებმა 126-ის ნაცვლად 500 ტონა მარგანეცი გადატვირთეს. ასეთი მაღალი საწარმოო მაჩვენებელი უჩვეულოა შორაპნელი მტვირთავებისათვის.

დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის ორდენებისა და მედლების გადაცემის წესის შესახებ

წითელი არმიის ათასობით მებრძოლსა და ოფიცერს დიდ სამამულო ომში საბრძოლო გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭა მთავრობის ჯილდოები. ბევრ მათგანს ჯილდოები უკვე გადაეცა, ნაწილს კი სხვადასხვა მიზეზის გამო ჯილდოები არ მიუღია. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის კადრების მთავარ სამმართველოში წითელი არმიის მებრძოლთა და ოფიცერთაგან და დემობილიზებულ მეომართაგან დიდძალი წერილი და შეკითხვა შემოდის ჯილდოების მიღებისა და ორდენის დოკუმენტების გაფორმების წესის შესახებ. ამასთან მრავალი დაჯილდოებული სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის კადრების მთავარ სამმართველოს მიმართავს ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება ადგილობრივ გადასჭრან სამხედრო ოლქთა კადრების განყოფილებებმა, ნაწილთა მეთაურებმა და რაიონულმა სამხედრო კომისარიატებმა.

ჯილდოს დოკუმენტების გაფორმებისა და ჯილდოების გადაცემის დასაჩქარებლად სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის კადრების მთავარი სამმართველო შემდეგს ახსნა-განმარტებას იძლევა:

ჯილდოების გადაცემის, აგრეთვე დროებითი მოწმობების ორდენის მუდმივ დოკუმენტებზე გადაცვლის შესახებ, ყველა საკითხზე წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეებმა უნდა მიმართონ უშუალოდ იმ ნაწილისა და დაწესებულების სარდლობას, სადაც ისინი მსახურობენ, ხოლო ყველამ, ვინც დემობილიზებულია წითელი არმიიდან,—რაიონულ სამხედრო კომისარიატს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების მისაღებად ყველა იმ პირმა, რომლებსაც ხელზე აქვთ დაჯილდოების მოწმობა, უნდა ჩააბარონ ისინი ნაწილების სათანადო შტაბებს ან რაიონულ სამხედრო კომისარიატებს. ამ დოკუმენტების საფუძველზე ნაწილების მეთაურები და რაიონული სამხედრო კომისარიატები მოვალენი არიან სამხედრო ოლქების კადრების განყოფილებათა მეშვეობით უზრუნველჰყონ ჯილდოთა გადაცემა. ასეთივეა ჯილდოების მიღების წესი აგრეთვე იმ პირთათვის, რომელთაც ხელზე არა აქვთ დაჯილდოების მოწმობა, ხოლო მის ნაცვლად აქვთ ცნობა ან დაჯილდოების შესახებ ბრძანების ამონაწერი, რომელიც შემოწმებულია ნაწილის ბეჭდით და ხელმოწერით. დაჯილდოების შესახებ ცნობების შემოწმება და დადასტურება ხდება იმ დაჯილდოებულთა მიმართ, რომელთაც ხელზე არა აქვთ დაჯილდოების მოწმობა, ცნობა და ბრძანების ამონაწერი.

ქალაქების დაცვისა, ალებისა და განთავისუფლებისათვის მედლების გადაცემა ხდება სამსახურის ადგილის მიხედვით ჯარის ნაწილებში და რაიონულ სამხედრო კომისარიატებში. მედლის — „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და მედლის — „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“ მისაღებად საჭირო არ არის რაიმე სპეციალური ცნობა, არამედ საკმარისია წარდგენილ იქნას ვინაობის მოწმობა ან პირადი საქმის ამონაწერი, მოწმობა დაჭრის შესახებ სამსახურის ადგილის აღნიშვნით, წითელარმიელის წიგნაკი და სხვა დოკუმენტები, რომელნიც ადასტურებენ დიდ სამამულო ომში მონაწილეობას და წითელ არმიაში სამსახურს. ქალაქების დაცვის, ალებისა და განთავისუფლებისათვის მედლების გადაცემა ხდება იმ ცნობების წარდგენის შემდეგ, რომლებიც გაცემულია სამხედრო ნაწილების მიერ.

ბრძოლებში დაჭრილ იმ პირებს, რომელნიც მათზე დამოუკიდებელი გარემოებით სრულიად არ ყოფილან დაჯილდოებული თავიანთი დამსახურებისა და გმირობისათვის, ჯილდოს მისაღებად წარადგენენ ოლქების სამხედრო საბჭოები, ნაწილთა მეთაურები და რაიონული სამხედრო კომისარიატები.

ბრძოლის ველზე დაკარგული სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების და ორდენის დოკუმენტების დუბლიკატთა გაცემის წესი ასეთია: დუბლიკატების მისაღებად საჭირო სარდლობის სახელზე შეტანილ იქნას პატაკი, რომელშიც დაწვრილებით უნდა აიწეროს ჯილდოებისა და დოკუმენტების დაკარგვის გარემოება და აღინიშნოს დაჯილდოების თარიღი. პატაკს დაერთვის აქტი, ან წერილობითი განცხადება იმ პირებისა, რომლებიც დაესწრნენ და ადასტურებენ ორდენებისა და მედლების დაკარგვას. ამის შემდეგ პატაკი ნაწილის სარდლობის ან რაიონული სამხედრო კომისარიატის შუამდგომლობით ეგზავნება განსახილველად ოლქის სამხედრო საბჭოს, რათა აღძრას შუამდგომლობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს წინაშე სათანადო დუბლიკატის გაცემის შესახებ.

არასაბრძოლო ვითარებაში დაკარგული ორდენისა და მედლის დუბლიკატი, როგორც წესი, არ გაიცემა.

წითელი არმიის დაღუპულ ან გარდაცვლილ მეომართა ოჯახებს ორდენები, მედლები და დოკუმენტები, როგორც სახსოვარი, გადაეცემათ არსებული სტატუტის თანახმად: დაღუპულ ან გარდაცვლილ მეომართა ოჯახებს შესანახად გადაეცემათ სამამულო ომის 1-ლი და მე-2 ხარისხის ორდენები, მედლები მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, კავკასიისა და საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის, აგრეთვე ორდენების წიგნაკები, მედლების მოწმობები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ და მისალოცი წერილები.

დაღუპულის ორდენებსა და მედლებს მის ოჯახს უგზავნის სამხედრო ნაწილი, რომელშიც დაჯილდოებული უკანასკნელ ხანს მსახურობდა. ხოლო თუ ჯარის ნაწილმა რაიმე მიზეზით არ გაუგზავნა ჯილდოები და დოკუმენტები დაღუპულის ოჯახს, ამ საკითხის გამო ყველა ცნობის შესახებ უნდა მიმართონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოსთან არსებულ დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებას. იმ შემთხვევაში, როცა დაღუპულ მეომარს, რომელიც დაჯილდოებული იყო, ჯილდო სიცოცხლეში არ მიუღია, დაღუპულ მეომართა ოჯახების მიერ ამ ჯილდოების მისაღებად დოკუმენტების გაფორმება ხდება რაიონული სამხედრო კომისარიატების მეშვეობით. დაღუპულთა ოჯახებს კი ორდენებსა და მედლებს შესანახად გადასცემენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. შესანახად ჯილდოებისა და დოკუმენტების მიღებისას უპირატესობა აქვთ დაღუპული მეომრის ცოლს, შვილებს, დედას და მამას.

დაჯილდოებულთათვის ორდენის წიგნაკის ნაცვლად მიცემული დროებითი მოწმობების ორდენის მუდმივ დოკუმენტებზე გადაცვლა ხდება ოლქების კადრების განყოფილებებში, საოლქო და საქალაქო სამხედრო კომისარიატებში: სამხედრო მოსამსახურეთათვის — სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებების მეშვეობით სამსახურის ადგილის მიხედვით და წითელი არმიიდან დემობილიზებულთათვის—რაიონული სამხედრო კომისარიატების მეშვეობით.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები და 1946 წელს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდების პროგრამები.

განცხადებები უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესახებ მიიღება 20 ივნისიდან. ოქროსა და ვერცხლის მედლებით საშუალო სკოლადამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან უგამოცდოდ და ჩაირიცხებიან მათ მიერ განცხადებების შემოტანის მიხედვით.

სამამულო ომის მონაწილენი, თუ მათ საშუალო სკოლა წარჩინებულის ატესტატით დაამთავრეს, მიუხედავად იმისა, რომელ წელს დაამთავრეს სკოლა, უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან უგამოცდოდ. წარჩინებულის უატესტატოდ საშუალო სკოლადამთავრებულნი, რომლებიც მისაღებ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებენ, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან კონკურსის გარეშე.

გამომცემლობა „საბჭოთა მეცნიერება“ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის გამოსცემს ცნობარს. მასში მოთავსებული იქნება მიღების წესები, მისაღები გამოცდების პროგრამები და ყველა უმაღლეს სასწავლებელთა სია ფაკულტეტებისა და სპეციალობების ჩამოთვლით.

ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას

ტყვარჩელი („კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან). ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის მოპოვების მარტის პირველი დეკადის გეგმა 104,1 პროცენტით შეასრულა. ახალმა შახტმა გეგმა შეასრულა 126,7 პროცენტით, სტალინის სახელობის შახტმა—100,4 პროცენტით. ქვანახშირის მოპოვების მხრივ მოწინავეთა რიგებშია დ. აზხაცავას უბანი, რომელმაც დეკადური გეგმა 112 პროცენტით შეასრულა და რ. ბოცვაძის უბანი, რომელმაც გეგმა 108 პროცენტით შეასრულა.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის შესრულებაში წინ მიდიან ა. ჭირაქაძის და ნ. ლაზარენკოს უბნები.

გიგანტი მტკვრის პირას

1946 წლის 5 თებერვალს, ამ დაუვიწყარ დღეს, თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. თავის სიტყვაში ამხანაგმა ბერიამ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის შესახებ სთქვა:

„...მეტალურგიულ ქარხანას ექნება: ორი ბრძმედი 430 ათასი ტონა თუჯის საწარმოო სიმძლავრისა წელიწადში, 500 ათასი ტონა კოქსის სიმძლავრის ორი საკოქსო ბატარია, 500 ათასი ტონა ფოლადის საერთო სიმძლავრის 6 მარტენის ღუმელი, 384 ათასი ტონა მზა რთული სხვადასხვაგვარი ნაგლინის სიმძლავრის ექვსი საგლინავი დაზგა“.

ასეთი იქნება ჩვენი ახალი მეტალურგიული ქარხანა, ვეებერთელა საწარმო, ნამდვილი გიგანტი, რომლის მსგავსიც, ამიერკავკასიას რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა კავშირშიც ჯერჯერობით ცოტა გვაქვს. მარტო თუჯსა, ფოლადსა და სხვადასხვა ნაგლინს იგი სრული სიმძლავრით ამუშავებისას ყოველწლიურად 81 მილიონ ფუთზე მეტი რაოდენობით მოგვცემს. ქარხანა ლითონით დააკმაყოფილებს არა მარტო ამიერკავკასიის მრეწველობის მთელ მოთხოვნილებას, არამედ მისი პროდუქციის ნაწილი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც მოხმარდება.

ჩვენი გიგანტი მრავალ ათეულ წლობით არის უზრუნველყოფილი ადგილობრივი ნედლეულით — რკინის მადნით და ქვანახშირით. რკინის მადანი მოვა აზერბაიჯანიდან, ქვანახშირი — ტყიბულიდან, ტყვარჩელიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან. ამიტომ ჰქვია მას — „ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა“.

გინახავთ მეტალურგიული ქარხანა?

ურთულესი საწარმოა იგი. მის ასაგებად დიდი შრომა და ჯაფაა საჭირო, მრავალი დამხმარე საწარმოს მოწყობა, ხოლო ყოველივე ამისათვის—დურგლები, კალატოზები, მღებავები, მიწისმთხრელები, ტრაქტორისტები, ექსკავატორებზე მომუშავენი, მჭედლები, ზეინკლები, ხარატები, ექიმები, მასწავლებლები, გზის მშენებლები, ათასობით და ათეულ ათასობით ადამიანები, ყოველგვარი პროფესიის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები... საჭიროა ამ აურაცხელი ხალხის წლობით მუშაობა, რომ ბოლოს ბრძმედებიდან კვამლი ამოვიდეს, მარტენის ღუმელებში გაკეთებული კაზმი გადნეს, სითხედ ქცეული ლითონი ნიაღვარივით წამოვიდეს და საყალიბეებში გაქვავებული, მაღალხარისხოვან ფოლადად იქცეს.

მაშ დავათვალიეროთ ეს მშენებლობა!

* * *

ორიოდე წლის წინათ აქ ტრამალის სიმშვიდე ხანდახან თუ ირღვეოდა. მტკვრის თხმელიან კალაპოტში იხვები ბუდობდნენ და გარეული ფრინველები მონადირეთა თვალს ემალებოდნენ.

სულ შეცვლილა, გადასხვაფერებულა ახლა ეს მიდამო. ირგვლივ მრავალი კილომეტრის თვალგადასაწვდენზე მშენებლობაა გაჩაღებული. შორს მტკვრის გაყოლებით მრავალსართულიანი სტილიზებული შენობებია ჩამწკრივებული. აქეთ ახალ საქარხნო კორპუსთა ლითონის ჩონჩხებია აღმართული. ზემოთ, მტკვრის მოსახვევში, ვეებერთელა ოთხკუთხედი ნაგებობის სილუეტი სჩანს ზედ მისეულ ადამიანებით. ერთმანეთზე გადაჭდობილი გზატკეცილები ყოველი მიმართულებით სერავენ მიდამოს. ავტომობილთა ქარავნები შეუწყვეტლივ დაჰქრიან აქეთ-იქით დღისითაც და ღამითაც. ერთის წუთითაც არა სწყდება ხმაური და მოძრაობა, ტრაქტორთა გუგუნი, გრეიდერთა ხრიალი, ექსკავატორების რახრახი. მშენებლობას საკუთარი სარკინიგზო ქსელიც აქვს. საუცხოო სანახაობაა: იქიდან მოასრიალებს მიმმულ „კუდს“ სწრაფი ორთქლმავალი, აქედან მეორე ორთქლმავალი მიდის, ზანტ ტრაქტორებს ავტომობილები ასწრებენ და მტვრის კორიანტელში ხვევენ. საქარხნო მილებიდან ნადენი, ბოლი ქოლგასავით იშლება მაღლა, ცაში.

ეს ქარხნები დამხმარე საწარმოებია. ისინი რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე ჩამწკრივებულან. თვითეული მათგანი საკმაოდ დიდ ინდუსტრიულ ერთეულს წარმოადგენს.

აგერ სარემონტო-მექანიკური ქარხანა. აქ რამდენიმე ასი მაღალკვალიფიციური მუშაა. ისინი ყოველთვიურად არემონტებენ იმდენ სამშენებლო მექანიზმსა და მოწყობილობას, რომ საჭირო ხდება 130-145 ტონა ლითონის გამოყენება. ქარხანას აქვს ლითონის კონსტრუქციების, სამსხმელო, სამჭედლო და სახარატო საამქროები, სადაც უახლესი ტიპის მოწყობილობაა. იქვე, ქარხანასთან აქვთ ფართო მოხმარების საქონლის საამქრო. აკეთებენ სხვადასხვა საოჯახო მოხმარების ნივთებს, რომლებზეც ახლა უდიდესი მოთხოვნილებაა. აქ ქალაქი შენდება, ათასობით მცხოვრები იქნება. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

გზას თუ გავყვებით, ვნახავთ ბეტონის კომბინატს. ესეც დიდი საწარმოა, ყველაზე უდიდესი ასეთ საწარმოთა შორის მთელ საქართველოში. მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას ყოველდღიურად სჭირდება 500-მდე კუბური მეტრი მზა ბეტონი. მიმდინარე წლის ბოლოს და მომავალ წელს მშენებლობის ტემპები ისე უნდა განვითარდეს, რომ ყოველდღიურად 1.000 კუბური მეტრი ბეტონიც არ იქნება საკმარისი. ამიტომ ააგეს აქ თავიდან ბოლომდე მექანიზებული ბეტონის ქარხანა. საჭიროა ცემენტისა და ქვიშა-ხრეშის მიზიდვა, მათი ჩაყრა განსაკუთრებულ საწყობებში, წყალსადენის მილის გახსნა, ელექტროდენის გაშვება. დანარჩენი თავისთავად კეთდება. ამოძრავდებიან მექანიკური ტრანსპორტიორები, ამუშავდება სპეციალური აპარატურა, ზომაზე მეტ ერთ წვეთ წყალსაც არ გაუშვებს სხვა მექანიზმი, აბრუნდება უშველებელი ბეტონმკეთებელი მანქანა და მზა ბეტონი აავსებს ბუნკერებს. მათ ქვემოდან კი წყვილ-წყვილად მოდიან სპეციალური ავტომანქანები, ავტომატურად იტვირთებიან თხიადი ბეტონით, შემდეგ გარბიან საბეტონე სამუშაოებისაკენ. ასეთი წესით გაკეთებული ბეტონი მხოლოდ 2 საათის განმავლობაშია ვარგისი, მაგრამ აქ 2 საათიც დიდი დროა. დროს აქ წუთობით და წამობით ზომავენ. ეს ქარხანა რომ არ მოეწყოთ, მაშინ მშენებლობას სულ ცოტა 5.000 მებეტონე მაინც დასჭირდებოდა, რომ დაემზადებინათ ბეტონი.

კომბინატს აქვს ეგრეთწოდებული მცირე ბეტონური ბლოკების ქარხანა. აქ აკეთებენ ბეტონის საკმაოდ მოზრდილ ფილებს, რომელთაც იყენებენ როგორც საკედლედ, ისე სახურავად. აქ გამოუნახეს ახალი გამოყენება ჩვენებურ გაჯს. გაჯის თიხისაგან ახლა შესანიშნავ საკედლე და სახურავ ფილებს აკეთებენ. აქ მთელი რიგი შენობებია აგებული და მათთვის ერთი ღერი ფიცარიც არ არის გამოყენებული. გაჯმა, საუკეთესო და მეტად ძვირფასმა საშენმა მასალამ, ბევრ შემთხვევაში, თურმე, შესაძლებელია შეცვალოს დეფიციტური ხე-ტყე. მოსაწონი და კარგი იქნება, რომ ჩვენმა მშენებელმა სპეციალისტებმა მეტალურგიული ქარხნის მშენებელთა ეს გამოცდილება ისწავლონ და სხვაგანაც გამოიყენონ.

დამხმარე საწარმოა ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატიც. იგი ერთ-ერთი უდიდესთაგანია რესპუბლიკაში. მის ქარხნებში ყველა სამუშაო პროცესი მექანიზებულია. ახმახი „ბოლინდერები“ — ვერტიკალურად მხერხავი მანქანები, თვალის დახამხამებაში ფიცრებად აქცევენ უმსხვილეს მორებს, რომელთა აწევ-დაწევაზეც ადამიანის შრომა გონებამახვილურად გაკეთებულ მექანიზმებს შეუცვლიათ.

დაწყებულია დიდი თბოელექტროსადგურის მშენებლობა. გვერდით მუშაობს პატარა ელექტროსადგური, რომელიც ისე „პატარაა“, რომ თავისუფლად შეუძლია დააკმაყოფილოს ორი საშუალო ქალაქის მოთხოვნილება ელექტროენერგიით. ახალი თბოელექტროცენტრალი, რომელიც შენდება, ერთ-ერთი უდიდესთაგანი იქნება რესპუბლიკაში.

* * *

ამ დამხმარე საწარმოთა უბნიდან მტკვრის ნაპირამდე ორიოდე კილომეტრია. იქ რომ სახლები სჩანან, მომავალი ქალაქის წყალგამოღმა საცხოვრებელი უბანია. ამ უბანში რამდენიმე ათასი მოსახლე იქნება, ხოლო ქალაქის მეტი ნაწილი მდინარის გაღმა გაშენდება. იქ მაღლობთა კალთებზე დაპროექტებულია რამდენიმე საცხოვრებელი უბნის გაშენება მრავალი ათეული ათასი მცხოვრებისათვის.

ეს იქნება საქართველოში ყველაზე დიდი ინდუსტრიული ქალაქი, სოციალისტურ ყაიდაზე მოწყობილი საქალაქო მეურნეობით, ადამიანის ბედნიერი ცხოვრებისათვის შექმნილი ყველა პირობით.

ეს იქნება საქართველოს შავი მეტალურგიის დედაქალაქი.

ამ მომავალი სოციალისტური ქალაქის შესახებ გატაცებითა და სიყვარულით ლაპარაკობენ მისი მშენებლები—ნესტორ გიორგაძე, ბორის ბარამიძე, თედორე ხვოშჩოვი, ვ. ქურდაძე, ყველანი. მტკვრის გასწვრივ გაშენდება ვეებერთელა პარკი, რისთვისაც უკვე დაწყებულია მზადება. ფართო, განიერი პროსპექტი და რკინაბეტონის ხიდი ერთმანეთთან დააკავშირებს ქალაქის ორივე ნაწილს. ხიდი ის პირველი ობიექტია, რომელიც სწრაფად უნდა აიგოს, რათა ქალაქის საცხოვრებელი უბნების გაშენება უახლოეს 2-3 წელიწადში დამთავრდეს. ხიდის საყრდენები უკვე აღმართულია. ფოლადის კონსტრუქციები მზადდება და სულ რამდენიმე თვეში ახალი ხიდი ძლევამოსილად გადაიმართება მტკვრის მოდუდუნე ტალღების თავზე.

უკვე დაპროექტებულია ქალაქის მოედნები, პარკები და მთავარი მაგისტრალები. ცენტრალურ მოედანზე აღმართული იქნება ძვირფასი შენობები—საქალაქო ორგანიზაციებისათვის, მეტალურგიული მუზეუმისათვის, თეატრისათვის. დაწყებულია საცხოვრებელი კვარტალების გაშენება.

და ყოველივე ეს კეთდება, ამ აურაცხელი ხალხის შრომა და დიდძალი თანხა იხარჯება იმისათვის, რომ ამუშავდეს 2 ბრძმედი, 2 საკოქსო ბატარია, 6 მარტენის ღუმელი და 6 საგლინავი დაზგა.

მკითხველს რომ წარმოდგენა ექნეს მტკვრის ნაპირას დაწყებული ამ მეტალურგიული გიგანტის მშენებლობის მასშტაბზე, საკმაოა ითქვას, რომ ამჟამად მარტო ისეთ სამშენებლო სამუშაოებზე, სადაც კვალიფიციური მუშახელი საჭირო არ არის, მუშაობს მრავალი ათასი კაცი და რამდენიმე ასი ავტომანქანა.

5.000 მაღალკვალიფიციურ მეტალურგ მუშას მოელიან აქ მომავალი შემოდგომიდან. ეს 5.000 ახალგაზრდა სწავლობს ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკათა მეტალურგიულ ქარხნებში, ხოლო ნაწილი საქართველოს საწარმოებშივე. ისინი ემზადებიან იმისთვის, რომ დაიწყონ აქ მუშაობა, გვაძლიონ მაღალხარისხოვანი ლითონი, პირველნი იქნენ იმათ შორის, ვინც დასახლდება და იცხოვრებს ახალ ქალაქში. მათთვის ამზადებენ ფართო მოხმარების საქონელს, საოჯახო ნივთებს, ჭურჭლეულს, ავეჯს აქ გამართულ საწარმოებთან მოწყობილი საამქროები.

სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში უკვე მუშაობენ მეტალურგიულ საწარმოებში გამოცდილი ადამიანები. მათ შორის ბევრი მოწინავე სტახანოველია, მაღალკვალიფიციური შრომის ოსტატი. ასეთია, მაგალითად, მემონტაჟე ი. მაისურაძე, ელექტრიკოსი ჰ. კაცაძე, ინჟინერი ნ. ჭიპაშვილი, შემდუღებელი შ. ტილოშვილი, ზეინკალი ა. მალანია, მემანქანე რ. უშვერიძე, ინჟინერ-მშენებელი პ. ოთარაშვილი, სანიტარული ტექნიკის სპეციალისტი შ. დვალიშვილი და მრავალი სხვა.

* * *

რამდენიმე ხნის წინათ მშენებლობა დაათვალიერა მთელი ქართველი ხალხის დეპუტატმა, დიდი სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ, რომელმაც საქართველოს ამ პირველი მეტალურგიული გიგანტის მშენებლებს მრავალი მითითება და რჩევა მისცა.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოსვლა კომბინატში ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნა მშენებელთა კოლექტივმა.

დაუვიწყარი იქნება ეს დღე ყველა ჩვენგანისთვის, — ამბობენ მშენებლები.

* * *

დაღამდა. სწრაფმა „ვილისმაც“ ვერ შესძლო ერთი დღის განმავლობაში ჩამოეტარებინა ცნობისმოყვარე სტუმარი მშენებლობის ყველა ობიექტზე, ყველა საინტერესო ადგილზე. ელექტროშუქი აჩირაღდნდა მტკვრის დაფენილ ჭალაზე, როგორც დიდ ქალაქში. სწრაფად დაჰქრიან გზატკეცილებზე ავტომობილები, არ სწყდება ხმაური. სამშენებლო ობიექტებზე, ქარხნებში, კანტორებსა და სამმართველოებში ავტობუსებმა ახალი ცვლა მოიყვანეს.

შენდება მეტალურგიული ქარხანა — გიგანტი მტკვრის პირას!

დ. ლომთაძე

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრება

13 მარტს მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება. მალამხიამ და სოროკინმა გაუთამაშებლად დასთმეს პარტიები სერედასთან. ნერსესოვი შეთანხმდა ყაიმზე პეტროსიანთან და არუთინოვთან. ფალავანდიშვილმა ორი სვლის შემდეგ დათმო პარტია ფირცხალავას. ასევე მოიქცა გაჩეჩილაძე ფალავანდიშვილთან.

შიშოვ-სოროკინისა და არუთინოვ-იბრალიძის პარტიები ყაიმით დასრულდა. მეტად ეფექტურად მოუგო გიორგაძემ ვეიზერს. თუმცა ამ უკანასკნელმა შესძლო პაიკის ლაზიერად გაყვანა, მაგრამ გიორგაძემ ზუსტი და ენერგიული სვლებით მოწინააღმდეგის მეფე შამათის ქსელში მოაქცია და გაიმარჯვა. გაჩეჩილაძე დამარცხდა ცინცაძესთან.

ხუთი საათი გაგრძელდა ოსტატობის კანდიდატ ბლაგიძისა და ოსტატ ზაგორიანსკის პარტია. გადამწყვეტ მომენტში ზაგორიანსკი უშვებს შეცდომას, რაც შესაძლებლობას აძლევდა ბლაგიძეს ეტლის შეწირვით მოეგო ლაზიერი და შემდეგ პარტიაც. მან ეს ვერ შენიშნა და 95 სვლის შემდეგ პარტია კვლავ გადაიდო.

მეოთხე ტური

მეოთხე ტურის პარტიებში მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ფირცხალავას და ტურნირის ერთერთი ლიდერის ცინცაძის პარტია. ბრძოლამ თავიდანვე მწვავე და დაძაბული ხასიათი მიიღო. ცინცაძე იგებს ჯერ ერთ, ხოლო შემდეგ მეორე პაიკს. სამაგიეროდ ფირცხალავას ფიგურები უფრო აქტიურ პოზიციებს იკავებენ. მალე ფირცხალავა გადადის მოწინააღმდეგის მეფის იერიშზე. ცინცაძემ ვერ აირჩია ბრძოლის გაგრძელების სწორი გზა და დამარცხდა.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა კერესმა, რომელმაც მოუგო ქარსელაძეს.

მიკენას—გიორგაძის პარტიაში უკანასკნელს შუა თამაშში ფიგურის მოგების შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ცეიტნოტში ყოფნის გამო ეს ვერ შეამჩნია და ვეღარც ორმოცივე სვლის გაკეთება მოასწრო.

დამარცხდა ფალავანდიშვილი პეტროსიანთან. პირველი გამარჯვება მოიპოვეს სოროკინმა ვეიზერთან და ოსტატმა ზაგორიანსკიმ აგამალიანთან. მწვავე ბრძოლის შემდეგ ბლაგიძე—მალამხიას პარტია ყაიმით დასრულდა. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

გადადებულ პარტიებში იბრალიძეს უკეთესი მდგომარეობა აქვს შიშოვის წინააღმდეგ, არუთინოვს გაჩეჩილაძის და ნერსესოვს სერედას წინააღმდეგ. ოთხი ტურის შემდეგ წინ არიან კერესი+4, ფირცხალავა, მიკენასი და ცინცაძე+3.

დღეს მეხუთე ტურში გროსმაისტერ კერესს წინააღმდეგ თამაშობს ფირცხალავა.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

2 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 2 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 2 მარტის დილის სხდომის დასაწყისში გამოვიდა მთავარი ბრალმდებელი სსრ კავშირისაგან ამხ. რუდენკო.

— მე ვფიქრობ, საჭიროა,—განაცხადა მან, —უწინარეს ყოვლისა გარკვეულ იქნას საკითხის უფლებრივი მხარე. ტრიბუნალის წესდებაში არ არის მითითება იმაზე, რომ ორგანიზაციის დანაშაულებრივად აღიარებას ავტომატურად მოჰყვება ამ ორგანიზაციის ყველა წევრთა სამართალში მიცემა ან, მით უმეტეს, მსჯავრდადება. წესდება შეიცავს საწინააღმდეგო ხასიათის მკაფიო მითითებას. ტრიბუნალის წესდების მეათე მუხლში, რომელიც არაერთგზის დაუმოწმებიათ სასამართლოში, ნათქვამია: ეროვნულ სასამართლოებს უფლება აქვთ, და არა მოვალეობა, გაასამართლონ დანაშაულებრივად აღიარებული ორგანიზაციის წევრები. მაშასადამე, დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცალკეულ წევრთა გასამართლებისა და დასჯის საკითხი მთლიანად ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაშია. თვითეული იმ ქვეყნის სასამართლო სუვერენიტეტი, რომლებმაც ტრიბუნალი მოაწყეს და მისი წესდება მიიღეს, ამრიგად, შეზღუდულია მხოლოდ ერთ მხრივ: ეროვნულ სასამართლოებს არ შეუძლიათ სადავოდ გახადონ დანაშაულებრივად აღიარებული ორგანიზაციის დანაშაულებრივი ხასიათი. ტრიბუნალს არ შეუძლია მოახდინოს შეთანხმებულ სახელმწიფოთა სასამართლო სუვერენიტეტის შემდგომი შეზღუდვა. ამიტომ მთავარმა ბრალმდებელმა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯექსონმა სრული საფუძვლით ილაპარაკა აქ, რომ მტკიცება, თითქოს ორგანიზაციის დანაშაულებრივად აღიარება ავტომატურად იწვევს ორგანიზაციის წევრთა მასობრივ მსჯავრდადებას, არის ნაყოფი ფანტაზიისა, რომელიც წარმოიშვა არა კანონის ნიადაგზე, არამედ სადღაც სხვაგან.

ერთ-ერთმა დამცველმა—სერვატიუსმა, განაგრძობს ბრალმდებელი, ილაპარაკა ტრიბუნალის წინაშე ტრიბუნალის საკანონმდებლო ძალაუფლების შესახებ. ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ინტერესებისათვის ოთხი სახელმწიფოს მიერ დაარსებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ავტორიტეტი უაღრესად დიდია. მაგრამ, რასაკვირველია, საკანონმდებლო ძალაუფლება ტრიბუნალს, როგორც სასამართლო ორგანოს, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. კერძოდ, სწყვეტს რა ორგანიზაციის დანაშაულებრივი ხასიათის საკითხს, ტრიბუნალი მხოლოდ იყენებს კანონზე—წესდებაზე დაფუძნებულ თავის უფლებას—დამოუკიდებლად გადასწყვიტოს ორგანიზაციის დანაშაულებრივად აღიარების საკითხი. რასაკვირველია, სასამართლოს განაჩენს, კანონიერ ძალაში შესულს, ენიჭება კანონის მნიშვნელობა, მაგრამ ასეთია ძალაში შესული ყოველი სასამართლო განაჩენის მნიშვნელობა.

დამცველმა კუბუშეკმა აღნიშნა, ამბობს ბრალმდებელი, რომ წესდების დებულებანი დანაშაულებრივ ორგანიზაციათა შესახებ უფლებრივ სიახლეს წარმოადგენენ. რამდენადმე ეს სწორია. სიახლეა უწინარეს ყოვლისა თვით საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის შექმნა, სიახლეა წესდება და მის დებულებათა მიზანი.

მაგრამ თუ დაცვას შესაძლებლად მიაჩნია ისაყვედუროს ამის გამო, ზედმეტი არ იქნება მოვაგონოთ მიზეზები, რომლებმაც უფლებრივი სიახლე გამოიწვიეს,—უმძიმესი ბოროტმოქმედებანი, რაც ჩაიდინეს ბრალდებულებმა და მათმა თანამონაწილეებმა და რაც უცნობი იყო კაცობრიობის ისტორიაში. სწორედ ამ ბოროტმოქმედებებმა გამოიწვიეს ახალ უფლებრივ ღონისძიებათა საჭიროება, რათა დაცული ყოფილიყო ხალხთა მშვიდობა, თავისუფლება და სიცოცხლე დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. მაგრამ ამ ტრიბუნალის შემქმნელი სახელმწიფოები და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი კვლავ ერთგული არიან სამართლის იდეებისა და მართლმსაჯულების პრინციპებისა. ამიტომ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ ინდივიდუალური დანაშაულის არსებობის დროს. კონკრეტულად ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხს გადასწყვეტენ ეროვნული სასამართლოები.

— აქ აღნიშნეს,—განაგრძობს ამხ. რუდენკო, —რომ სს-ის ზოგიერთი რგოლი არ ისახავდა დანაშაულებრივ მიზნებს. მაგრამ ფაშისტურ აპარატში ძნელია გამოინახოს ნეიტრალური ნაწილები, რომლებიც დანაშაულებრივ მიზნებს არ ემსახურებოდნენ. მაგალითად, სს-ის დამცველმა ბაბელმა სს-ის სისტემაში დაასახელა არსებული საკვლევაძიებო დაწესებულება მეძაღლეობის დარგში. თითქოს ეს სასარგებლო საწარმოა. მაგრამ თურმე „მეცნიერი მეძაღლეები“ ამ დაწესებულებაში ქოფაკებს ასწავლიდნენ სცემოდნენ ადამიანებს და ნაკუწნაკუწ დაეგლიჯათ განწირული მსხვერპლი. შეიძლება განა ეს „მეძაღლეები“ სს-ისაგან გამოვყოთ?

დანციგში მეორე „სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი“ მუშაობს ადამიანის ქონისაგან საპნის დამზადებაზე.—იქნებ,—ამბობს ბრალმდებელი,—ეს „მესაპნეებიც“ გადავარჩინოთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას?

დაცვამ წამოაყენა ორი პრაქტიკული წინადადება: ცალკე წარმოებისათვის გამოიყოს დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმე, მოეწყოს ბანაკებში დაცვა ჩვენებისა და ცნობების შესაგროვებლად. ორივე ეს წინადადება სინამდვილეში ერთნაირად იწვევს ტრიბუნალის მიერ იმ უდიდესი ამოცანის შესრულების დაუძლეველ დაბრკოლებათა შექმნას, რაც მას ხალხებმა დააკისრეს. ეს ამოცანა ზუსტად არის ჩამოყალიბებული წესდებაში, რომელიც ტრიბუნალს უკარნახებს გადასჭრას დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკითხი ამ ორგანიზაციათა წევრების კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებით. ამიტომ ტრიბუნალისადმი მიმართვა შუამდგომლობით, რომ ორგანიზაციათა საქმე დამოუკიდებელი წარმოებისათვის გამოჰყოს, წესდების დარღვევას უდრის.

როგორც ცნობილია, ამბობს შემდეგ ამხ. რუდენკო, ყველა ორგანიზაცია, რომლის შესახებაც ბრალდება მოითხოვს, რომ ცნობილ იქნან დანაშაულებრივად, წარმოდგენილია ბრალდებულთა სკამზე. მაშასადამე, საქმეში უკვე არის დამამტკიცებელი მასალა, რომელიც სავსებით გამოსადეგია, რათა ტრიბუნალმა დასკვნა გამოიტანოს ამა თუ იმ ორგანიზაციის დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ. ამ პირობებში სპეციალური მოწმეების გამოწვევა, რომელთაც შეუძლიათ მისცენ ჩვენება ორგანიზაციის შესახებ, შეიძლება მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთების დამატებითი წყარო იყოს.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. რუდენკო განიხილავს დაცვის ზოგიერთ არგუმენტს. დაცვამ აღნიშნა, ამბობს ბრალმდებელი, რომ დანაშაულებრივად ორგანიზაციის აღიარების შედეგად სამართალში მიცემული იქნება მილიონობით გერმანელი — ამ ორგანიზაციათა წევრები. ჩემს კოლეგებთან — ბრალმდებლებთან ერთად მე ამას არ ვფიქრობ. მაგრამ მსურს სხვა რამ ვთქვა. დაცვა ჰიპოთეზურ მილიონობით ბრალდებულთა მომიზეზებით ცდილობს გამოიწვიოს შეშფოთება, ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების მსვლელობას. მაგრამ ჩვენს წინაშე, იმ ხალხების წარმომადგენელთა წინაშე, რომლებმაც გადაიტანეს ჰიტლერულ აგრესიასთან ბრძოლის სიმძიმე და ტანჯვა, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სინდისისა და შეგნების წინაშე განუშორებლად წარმოსდგებიან, სხვა ციფრები, სხვა მილიონები. ეს არის ტრემბლინკში, ოსვენციმში, დახაუსა და ბუხენვალდში, მაიდანეკსა და კიევში წამებით დახოცილი მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. ჩვენი ვალია ყველაფერი გავაკეთოთ, რათა მოვსპოთ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ფაშისტური ორგანიზაციების ავაზაკური სისტემა.

განუზომელი, უსაზღვროა ჰიტლერელების მიერ ჩადენილი დანაშაულობა. მაგრამ შურისძიება არ გვიბრმავებს თვალს და არ ვფიქრობთ რეპრესიები თავს დავატეხოთ მთელ გერმანელ ხალხს. ხოლო მართლმსაჯულება არ დაუშვებს განზე გადახვევას, რათა გზა დაუთმოს ახალ-ახალი ავაზაკობის რეციდივს. ჩვენ ღრმად გვწამს, ამბობს ბრალმდებელი, რომ ტრიბუნალი მტკიცედ ივლის თავისი გზით სამართლიანი და სწრაფი განაჩენისაკენ და სრულად მიუზღავს დამნაშავეებს მთელი მათი დანაშაულობისათვის.

სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რუდენკოს გამოსვლის შემდეგ მოსამართლე ბიდლმა მისცა მას რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც შეეხებოდა ბრალდებული ორგანიზაციებისა და მათი წევრების დამნაშავეობას.

შემდეგ ტრიბუნალმა საშუალება მისცა ადვოკატებს დიქსს, სერვატიუსსა და კუბუშეკს გამოსულიყვნენ ბრალდებული ორგანიზაციების დამნაშავეობის საკითხებზე. დილის სხდომის საბოლოო ნაწილში გამოვიდნენ დამცველები ლატერნზერი და ლეფლერი ჰიტლერული ორგანიზაციების დამნაშავეობის დადგენის თაობაზე.

დამცველთა შეკითხვებზე პასუხი გასცა ბრალდების ინგლისელმა წარმომადგენელმა დევიდ მაქსუელ-ფაიფმა.

ამით დამთავრდა ტრიბუნალის დილის სხდომა.

4 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 4 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომა იწყება ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლის ამხ. სმირნოვის გამოსვლით. ბრალმდებელი ლაპარაკობს, რომ რამდენიმე დღის წინათ ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ მოწმეთა მომავალ დაკითხვასთან დაკავშირებით საჭიროა გამოქვეყნდეს ბრიტანეთის ოფიციალური ანგარიში გერმანელების მიერ ბრიტანეთის საჰაერო ძალთა 50 ტყვე ოფიცრის დახოცვის შესახებ. ბრალმდებელს ციტატები მოჰყავს ამ ანგარიშიდან, რომელიც იძლევა დანაშაულებრივი ქმედობის საერთო დახასიათებას და არკვევს პერსონალურ პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის. შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარის ლორდ ლოურენსის თხოვნით ბრალმდებელი კითხულობს ამ ანგარიშის დანართებსაც.

ამის შემდეგ ტრიბუნალი გადადის დამცველთა შუამდგომლობის განხილვაზე მოწმეების გამოწვევის, აგრეთვე დოკუმენტების გამოთხოვისა და წარდგენის შესახებ.

4 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 4 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 4 მარტის საღამოს სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ფრანკის დამცველი ზეიდელი და ფრიკის დამცველი პანენბეკერი, რომლებიც ასაბუთებდნენ თავიანთ შუამდგომლობას მოწმეების გამოწვევისა და დოკუმენტების დართვის შესახებ.

თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას ხვალინდელ დილამდე, როცა განგრძობილ იქნება მოწმეთა გამოწვევის შესახებ შუამდგომლობის დასაბუთება დამცველების მიერ.

5 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 5 მარტი. (საკდესი). დილის სხდომაზე ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლოურენსმა განაცხადა, რომ დ-რმა ჰანს მარქსმა, ერთ-ერთმა გერმანელმა ადვოკატმა, რომელიც ამ პროცესზე დამცველად გამოდის, ტრიბუნალის ყურადღება მიაპყრო გაზეთ „ბერლინერ ც-იტუნგის“ 2 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაზე, რომელსაც სათაურად აქვს „დამცველი“. ეს სტატია მეტად მკვეთრი გამოთქმებით აკრიტიკებს ადვოკატ მარქსს მოწმის ჯვარედინი დაკითხვის წარმოების მისი წესისათვის, როცა იგი სცვლიდა დ-რ ბაბელს, როგორც სს-ის დამცველს.

აღნიშნა რა, რომ, ტრიბუნალის აზრით, თვითეულ ბრალდებულს უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს დამცველით და რომ აღძრულ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს დაკანონებული წარმოებისათვის, ლოურენსმა განაცხადა, რომ მან სთხოვა საკონტროლო საბჭოს გერმანიაში გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული ფაქტები ტრიბუნალისათვის სათანადო ინფორმაციის მისაწოდებლად.

შემდეგ ტრიბუნალი შეუდგა ბრალდებულების შტრაიხერის, ფუნკის, შახტისა და დენიცის საქმეთა გამო მოწმეების გამოძახებისა და დოკუმენტების გამოთხოვის საკითხის განხილვას.

ყველა ამ საკითხის განხილვით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

6 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 6 მარტი. (საკდესი). 5 მარტს ტრიბუნალის საღამოს სხდომა არ ყოფილა. დღეს ტრიბუნალის დილის სხდომა გაიხსნა თავმჯდომარის ლოურენსის განცხადებით სხდომების წარმოების წესის ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

დოქტორმა შტამერმა, სთქვა ლოურენსმა, წერილობითი განცხადება შემოიტანა იმის შესახებ, რომ მას ესაჭიროება კიდევ რამდენიმე ხანი დოკუმენტების მოსამზადებლად და სხვა მიზეზებით, და ამიტომ იგი მადლობელი იქნება, თუ ბრალდებულ გერინგის საქმეს არ მოისმენენ ხუთშაბათს, როგორც გამოცხადებული იყო. ტრიბუნალი გაიგებს, რომ ბრალდებულის პირველი საქმე, რომელიც აქ იქნება განხილული, შეიძლება წარმოადგენდეს ზოგიერთ სიძნელეს, კერძოდ, დოკუმენტების გადათარგმნის მხრივ. და რამდენადაც ტრიბუნალმა გამოაცხადა, რომ იგი განაგრძობს შუამდგომლობათა განხილვას დოკუმენტების გამოთხოვნისა და მოწმეთა გამოწვევის შესახებ მანამდე, სანამ ყველა ეს შუამდგომლობა არ დამთავრდება, ტრიბუნალი ამ გადაწყვეტილებას დაიცავს. ვარაუდობენ, რომ ეს დოქტორ შტამერს მისცემს კიდევ ერთ დღეს. მაგრამ მოწმეთა გამოწვევის შესახებ შუამდგომლობათა განხილვის დამთავრების შემდეგ ბრალდებულ გერინგის საქმის განხილვა სასამართლოში დაიწყება უკვე გადაუდებლად. ტრიბუნალს სურს, რათა სრულიად ცხადი იყოს, რომ დამცველთა არავითარი შემდგომი შუამდგომლობა საქმეთა განხილვის განვადებისა და გადადების შესახებ განხილულ არ იქნება, ექსტრაორდინარული შემთხვევების გარდა.

შემდეგ ბრალდებულ გროს-ადმირალ რედერის დამცველი ადვოკატი ზიმერი კითხულობს 17 მოწმის სიას და თხოულობს სასამართლოში გამოიწვიონ ისინი.

დამცველი ზაუტერი შუამდგომლობს გამოიწვიონ მოწმეები ბრალდებულ შირახის საქმეზე.

ბრალდებულ შირახის საქმეზე მოწმეთა გამოწვევის საკითხის განხილვით მთავრდება ტრიბუნალის 6 მარტის დილის სხდომა.

6 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 6 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 6 მარტის საღამოს სხდომაზე იხილავდნენ მოწმეებისა და დოკუმენტების სიას, რომელიც წარადგინა ბრალდებულ ზაუკელის დამცველმა ადვოკატმა სერვატიუსმა.

ამის შემდეგ ტრიბუნალმა მოისმინა მხარეთა აზრი მოწმეებისა და დოკუმენტების სიის შესახებ, რომელიც წარადგინა ბრალდებულ იოდლის დამცველმა ადვოკატმა ექსნერმა.

ტრიბუნალის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დამცველებისა და ბრალდებულების მიერ წარდგენილი მოსაზრებანი განხილულ იქნება და გამოაცხადა შესვენება მეორე დღემდე.

7 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 7 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 7 მარტის დილის სხდომა დაიწყო დამცველ კუბუშეკის გამოსვლით. დამცველი შუამდგომლობს მოწმეთა გამოწვევისა და ბრალდებულ პაპენის საქმის დოკუმენტების გამოთხოვნის შესახებ.

შემდეგ გამოდიან ბრალდებულების ზაისინქვარტის, შპეერის და ფონ ნოირატის დამცველები.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

7 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 7 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 7 მარტის საღამოს სხდომის დასაწყისში თავმჯდომარემ ლორდმა ლოურენსმა განაცხადა, რომ ტრიბუნალი დღეს განაგრძობს მოწმეთა გამოწვევისა და დოკუმენტების გამოთხოვნის შესახებ შუამდგომლობის განხილვას, ხოლო ბრალდებულ გერინგის საქმის გარჩევას დაიწყებს ხვალ დილით. ამის შემდეგ განხილულ იქნა ბრალდებულების ფონ ნოირატის, ფრიჩეს და ჰესის დამცველთა შუამდგომლობა. ამით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ლონდონი, 11 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბატავიიდან იუწყება, იავაზე ჰოლანდიის ჯარის ნაწილების გადასხმას მოჰყვა ახალი შეტაკებანი ინგლისის ჯარის ნაწილებსა და ინდონეზიელთა შორის. კორესპონდენტი აცხადებს, რომ იმ დროს, როცა ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი სუტან შარირი ოფიციალურად უდგენდა თავის პროტესტს ინდონეზიაში მოკავშირეთა მთავარსარდალ სტოფორდს და აღნიშნავდა, რომ ინდონეზიაში ჰოლანდიის ჯარის ნაწილების გადასხმა ნიშნავს „ინდონეზიელთა სუვერენიტეტის დარღვევას“, ინგლისის „სანდერბოლტის“ ტიპის 5 ავიაგამანადგურებელი რამდენიმე მილზე შარირის ადგილსამყოფელიდან მცელავი ფრენით უშენდა ინდონეზიელებს, რომლებმაც ბრძოლა გაუმართეს ორ ინგლისელ მებადრაგეებს.

შემდეგ კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ იმ დროს, როცა მოკავშირეთა ჯარები მოქმედებდნენ წინააღმდეგობის გამწევ ინდონეზიელთა მცირე ჯგუფის წინააღმდეგ იმისათვის, რომ დაეკავებინათ დიდი ტერიტორია სურაბაიის გარშემო, ინდონეზიელებმა სროლა აუტეხეს რკინიგზის სადგურსა და საწყობს, რომლებიც მდებარეობენ სემარანგისა და ჩრდილოეთ სანაპიროს იმ უბნის შუაგზაზე, სადაც ჰოლანდიელთა ქვეითი ბატალიონი გადასხდა.

ლონდონი, 13 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბატავიელი კორესპონდენტის ცნობით, ბატავიაში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 13 მარტს „სანდერბოლტის“ ტიპის თვითმფრინავები მეორეჯერ გამოვიდნენ სამოქმედოდ და დახმარებას უწევდნენ ინგლისელ მებადრაგეებს ინდონეზიელებთან შეტაკებაში. „სანდერბოლტები“ გამოწვეული იყვნენ მთავარი კოლონის მიერ და ოთხჯერ ასტეხეს ტყვიამფრქვევის სროლა.

ინგლისის ავიაციამ ჩამოჰყარა ფურცლები შემდეგი გაფრთხილებით ინდონეზიელთა მიმართ: „ჩვენ გადავწყვიტეთ ავამოქმედოთ ტანკები, თვითმფრინავები, ქვემეხები და სხვა საზღვაო იარაღი, თუ თქვენი წინააღმდეგობა არ შესწყდება. ეს ჩვენი უკანასკნელი გაფრთხილებაა“.

შვეიცარიის მიერ ესპანეთისათვის იარაღის მიწოდება

პარიზი, 14 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ბერნიდან გადმოგვცემს, გაზეთმა „დერ ბუნდმა“ დაადასტურა, რომ ესპანეთში იგზავნებოდა შვეიცარიული იარაღი და სამხარი მასალა. ამასთან ერთადერთი საჭირო ფორმალობა იყო ტექნიკური სამხედრო ორგანოების ნებართვის მიღება, რომელთა ამოცანაც მხოლოდ ის იყო, რომ შეენარჩუნებინათ შვეიცარიაში ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო ლითონის საკმაო მარაგი.

სალაში და მისი თანამონაწილენი სიკვდილით დასაჯეს

ბუდაპეშტი, 12 მარტი. (საკდესი). ბუდაპეშტის რადიო გადმოგვცემს, რომ დღეს ნაშუადღევს სასამართლოს განაჩენის მიხედვით სიკვდილით დასაჯეს ფერენც სალაში, კაროლ ბერეგფი, გაბორ ვაინა და იოჟეფ გერა.

გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირის მეორე ყრილობაზე ვარშავაში

ვარშავა, 13 მარტი. (საკდესი). გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირის მეორე ყრილობაზე მოხსენება კავშირის მიზნებისა და ამოცანების შესახებ გააკეთა ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბურძმ. მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა იმ ცვლილებებს, რომლებიც პოლონურ სოფელში მოხდა 14 თვის განმავლობაში, რაც კავშირის პირველი ყრილობიდან გავიდა. დღეს, ამბობს ბურძი, ჩვენ ვმუშაობთ ისეთ პირობებში, როდესაც პოლონელი გლეხი თავისი მიწის პატრონი და სახელმწიფოს პატრონი გახდა. მხოლოდ ამ პირობებში გახდა შესაძლებელი ისეთი მძლავრი სამეურნეო ორგანიზაციის შექმნა, როგორიც გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირია. მომხსენებელი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთში დასახლებულ გლეხთა მეურნეობებს დიდი დახმარება გაუწიეს სათესი მასალით, ტრაქტორებით და სხვ. იგი აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობამ გლეხთა მეურნეობების აღსადგენად გაიღო 4 მილიარდი ზლოტი და ამ მიზნისათვის გამოჰყო 2 მილიონამდე კუბმეტრი ხე-ტყე. კავშირი ამოცანად ისახავს უახლოესი წლის განმავლობაში პოლონური სოფელი უზრუნველჰყოს მარილით, ქვანახშირით, ხელოვნური სასუქებით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

ბურძი ეხება პოლონეთის დემოკრატიული პარტიების წინადადებას შეიქმნას პარტიების ერთიანი ბლოკი მომავალ არჩევნებში და ამბობს: „ჩვენ მხარს ვუჭერთ მუშათა პარტიებისა და სტრონიცტვო ლიუდოვეს თვალსაზრისს, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება შეიქმნას საარჩევნო ბლოკი, რაც უზრუნველჰყოფს ხალხის გამარჯვებას და რეაქციული ძალების დამარცხებას, ვინაიდან ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ ყველა დემოკრატიული ძალის გაერთიანებას. არც ერთ გლეხს, არც ერთ დემოკრატს არ შეუძლია სწორად სცნონ პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს ხელმძღვანელობის მისწრაფება, რაც მიმართულია ამ პარტიის მიერ ძალა-უფლების მონოპოლიური მოპოვებისაკენ“. ბურძი შეეხო ყრილობის გახსნისას მომხდარ ინციდენტს და სთქვა: „ბ-ნმა მიკოლაიჩიკმა სხდომის დარბაზი დასტოვა და ცდილობს გასთიშოს გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირის ყრილობა. ამით მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რაოდენ ნაკლებ აინტერესებს მას სოფლის ერთიანობის საკითხი. ბ-ნ მიკოლაიჩიკთან ერთად ყრილობა დასტოვა დელეგატთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა. პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს ლიდერები თავიანთი მოუფიქრებელი ნაბიჯის გამო არ ესწრებიან ყრილობას, რომელზეც სწყდება პოლონური სოფლის ყველაზე უფრო საარსებო საკითხები. ეს პირველი შემთხვევა როდია ბ-ნ მიკოლაიჩიკის პოლიტიკის ისტორიაში. იგი აქ არ იყო, როდესაც პოლონელი ხალხი ებრძოდა გერმანელ დამპყრობლებს, როდესაც ჩვენ ვახორციელებდით მიწის რეფორმას და საფუძველს ვუყრიდით გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირს. მას არ გამოუვიდა ყრილობის გათიშვის ცდა. დარბაზში დარჩა ყველა ის ლიუდოველი, ვისთვისაც ძვირფასია სოფლის ერთიანობა“. დასასრულ ბურძმ მოუწოდა ყველა გლეხს იმუშაონ პოლონური სოფლის საკეთილდღეოდ.

ყრილობაზე გამოსულმა ცეშლიკმა თავის მოხსენებაში განთავისუფლებული პოლონეთის სოფელში ეკონომიური განვითარების გზების შესახებ აღნიშნა, რომ მიწის რეფორმის შედეგად პოლონელმა გლეხებმა მიიღეს 1.120 ათასი ჰექტარი მემამულეთა მიწა. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იმ დახმარებაზე, რასაც პოლონეთის დემოკრატიული მთავრობა გლეხობას უწევს. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ თესვის კამპანიის ჩასატარებლად წელს მთავრობა გამოჰყოფს 150 ათას ტონა სათესლე მარცვლეულს, 6 ათას ტრაქტორს, 400 მილიონ ზლოტის ბაზარზე სათესლე მარცვლეულის საყიდლად და 730 მილიონ ზლოტის საგაზაფხულო ხვნის ტრაქტორებით ჩატარების დასაკრედიტებლად.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ფერენც ნადის გამოსვლა

ბუდაპეშტი, 13 მარტი. (საკდესი). 11 მარტს შესდგა წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა. სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ამ პარტიის ლიდერმა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ფერენც ნადმა. ნადი შეეხო პარტიის შექმნის ისტორიას, შემდეგ გადავიდა ახლანდელ მდგომარეობაზე და სთქვა, რომ უნგრეთის დემოკრატიულმა პარტიებმა უნდა ითანამშრომლონ შემდეგ საფუძვლებზე: სერიოზულად და მტკიცედ გადასწყვიტონ ბოლო მოუღონ წარსულს, გულწრფელად და სავსებით მზად იყვნენ ემსახურონ დემოკრატიას, მკაცრად და სრულიად უკომპრომისოდ იბრძოლონ რეაქციის წინააღმდეგ, ძმური თანაგრძნობა გაუწიონ ერთმანეთს და, ბოლოს, შეიგნონ ძირფესვიანი ცვლილების საჭიროება უნგრეთის საგარეო პოლიტიკაში. ნადმა განაცხადა, რომ ეს ნიშნავს—ნამდვილ განმათავისუფლებლად და მეგობრად ვცნოთ სახელმწიფო, რომელმაც უნგრეთი გაათავისუფლა და ფაშიზმი დაამარცხა.

შემდეგ ნადმა აღიარა, რომ ყველა პარტია და მათი მოღვაწენი ერთნაირად და სავსებით როდი ასრულებდნენ თანამშრომლობის მის მიერ ჩამოთვლილ პირობებს. თუ ჩვენ გვსურს, სთქვა მან, შემდეგშიც განვავითაროთ დემოკრატიული მმართველობა, თუ არა გვსურს ვიცხოვროთ ანარქიისა და შეშფოთების ატმოსფეროში, მაშინ, უნდა აღმოვფხვრათ მიზეზები, რომლებიც თანამშრომლობის დარღვევას იწვევენ.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, ნადმა სთქვა, რომ უნგრეთს ესაჭიროება საბჭოთა კავშირის ნდობა. ჩვენ უნდა შევიგნოთ,—აღნიშნა მან, —თუ რაოდენ საჭიროა ჩვენთვის ახლო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი პირობა, ამბობს ნადი, დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაა.

ნადმა აღნიშნა, მთავრობის კოალიციის სამმა პარტიამ და პროფკავშირებმა წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიას ერთობლივად წარმოუდგინეს მთელი რიგი მოთხოვნებით, და სთქვა: ჩვენი მხრივ გულწრფელად და პატიოსნად ვიღებთ მოთხოვნებს რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. შახტების, ბოქსიტების საბადოებისა და ნავთის სარეწების ნაციონალიზაციის მოთხოვნათა შესახებ ნადმა განაცხადა, რომ აქაც არ არის წინააღმდეგობანი და იგი ვერ ხედავს დაბრკოლებას მესამე მოთხოვნის შესასრულებლადაც—სახელმწიფოს გამგებლობაში მძიმე მრეწველობის ისეთ საწარმოთა გადაცემის შესახებ, როგორიც არის ჰანსის, რიმა-მურანის და ვეის-მანფრედის ქარხნები. იგივე უნდა ითქვას, ამბობს იგი, ბანკებისადმი სახელმწიფო კონტროლის დაწესების მოთხოვნის შესახებაც.

ნადი გადავიდა სახელმწიფო აპარატის შემცირების მოთხოვნაზე და სთქვა: ჩვენ ამაში ვეთანხმებით ყველა სხვა პარტიას, საჭიროა გავაკეთოთ ეს იმისათვის, რომ ნაკლები მოსამსახურენი შევინახოთ და იმისათვის, რომ ადმინისტრაციიდან გავაძევოთ რეაქციის წარმომადგენლები. უთანხმოებას იწვევდა საკითხი, თუ რა ორგანოებმა უნდა შეასრულონ ეს სამუშაო. მუშათა პარტიები მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო აპარატის შემცირებაში მთავრობასთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ პროფკავშირებსაც. წვრილ მეურნეთა პარტია კი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ მთავრობის ამოცანაა. მაგრამ ამ საკითხის განხილვის შემდეგ, სთქვა ნადმა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ფიზიკური შრომის პირები არ შეიძლება ჩამოვაშოროთ ამ სამუშაოს და მასში საჭიროა ჩავაბათ მშრომელ გლეხთა კიდევ უფრო ფართო ფენები. ნადმა იმედი გამოსთქვა, რომ ამ საკითხში მიღწეულ იქნება შეთანხმება პარტიებს შორის.

ამის შემდეგ ნადი გადავიდა დემოკრატიულ თანამშრომლობაში წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის მონაწილეობის საკითხზე. მან აღიარა, რომ წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიას მისი ახლანდელი შემადგენლობით არ შეიძლება მთლიანად ეწოდოს კოალიციური პარტია და რომ უფრო სწორი იქნებოდა მისთვის ოპოზიციური პარტია გვეწოდებინა. ეს გამომდინარეობს პარტიაში შექმნილი განწყობილებიდან, მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებიდან, პარლამენტში მისი მოქმედებიდან. პარტიაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ ეთანხმებოდნენ მისი ხელმძღვანელობის პოლიტიკას. გადადგმული იყო ხოლმე ისეთი ნაბიჯებიც, რომლებიც მიმართული იყო პირდაპირ პარტიის ხელმძღვანელობის ჩაშლისაკენ. ცალკე პირები არაერთგზის იყენებდნენ პარტიის წევრების უცოდინრობასა და გამოუცდელობას და აიძულებდნენ მათ არასასურველი პოზიცია დაეკავებინათ. სწორედ ამიტომ, ამბობს ნადი, პარტიის ხელმძღვანელობა მივიდა გადაწყვეტილებამდე მოუწოდოს მთელ რიგ დეპუტატებს წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიისაგან—განაგრძონ თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობა ამ პარტიის გარეთ.

ნადმა შეიტანა წინადადება, რომ მთავრობის კოალიციაში შემავალმა პარტიებმა შეიმუშაონ დემოკრატიულ გარდაქმნათა პროგრამა ერთი წლის ვადით. საჭიროა შევინარჩუნოთ ჩვენი პროგრამა,—ამბობს დასასრულ ნადი, — მისი პრინციპები და გამოვძებნოთ შესაძლებლობა პატიოსანი თანამშრომლობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის თანაშემწის ბერჯის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკდესი). საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ჯგუფის კრებაზე, რომელიც კლივლენდში შესდგა, მონოპოლიებთან ბრძოლის კანონის რეალიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის თანაშემწე ბერჯმა. იგი გამოვიდა გაფრთხილებით, რომ ძლიერდება მონოპოლიებისა და კარტელების ტენდენცია თავიანთი კონტროლი დაამყარონ ამერიკის მრეწველობაზე. ბერჯმა აღნიშნა, რომ 1909 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო 268 ათასი სამრეწველო საწარმო, რომლებიც უშვებდნენ 20 მილიარდი დოლარის საერთო თანხის პროდუქციას, მაშინ როცა 1939 წელს, როდესაც მოსახლეობა 39 მილიონით გადიდდა, იყო მხოლოდ 184 ათასი სამრეწველო საწარმო, რომლებიც უშვებდნენ 56 მილიარდი დოლარის საერთო თანხის პროდუქციას. შემდეგ ბერჯმა ილაპარაკა ამერიკის შეერთებულ შტატებში მრეწველობის კონცენტრაციის პროცესის შესახებ. მისი სიტყვით, გასული საუკუნის დამლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში 15 ათასი თამბაქოს საწარმო იყო, ამჟამად კი ამ საწარმოთა რიცხვი 800-ზე ნაკლებია, ამასთან ფაქტიურად ამ მრეწველობაში გაბატონებულია ოთხი დიდი კომპანია. სატყეო მრეწველობაში მეწარმეთა რიცხვი შემცირდა 28 ათასიდან 12 ათასამდე; მეტალურგიულ და ფოლადსამსხმელო მრეწველობაში—700-დან დაახლოებით 350-მდე. იგივე მოხდა მრეწველობის ქიმიურ, საფეიქრო, მინის, ფეხსაცმლის და სხვა დარგებში.

მარშალი ტიტო ვარშავას ჩავიდა

ვარშავა, 14 მარტი. (საკდესი). დღეს ვარშავაში ჩამოვიდა იუგოსლავიის სახალხო ფედერატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მარშალი იოსიპ ბროზ-ტიტო მთავრობის წევრებისა და სამხედრო მოღვაწეთა თანხლებით.

ვაგზალზე მარშალ ტიტოს შეხვდნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას ვიცე-პრეზიდენტი ბარციკოვსკი, ეროვნული ერთიანობის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ოსუბკა-მორავსკის, ვიცე-პრემიერების გომულკას და მიკოლაიჩიკის მეთაურობით, პოლონეთის მარშალი როლია-ჟიმერსკი და პოლონეთის მთავრობასთან აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, აგრეთვე პოლონეთის ჯარის გენერლები და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა.

მარშალ ტიტოს შესახვედრად პერონზე ჩამწკრივებული იყო პოლონეთის ჯარის საპატიო ყარაული.

მარშალმა ბროზ-ტიტომ მიკროფონის წინ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც ღრმა კმაყოფილება გამოსთქვა, რომ შეუძლია პირადად მიესალმოს პოლონელ ხალხს იუგოსლავიის ხალხისა და მთავრობის სახელით. ჩვენი ხალხების ძმობა, განაცხადა მან, იშვა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. იგი კიდევ უფრო განმტკიცდება მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობის პერიოდში. თავისი მისალმება მარშალმა ტიტომ დაამთავრა იმით, რომ დღეგრძელობა უსურვა პოლონეთის მთავრობას და პრეზიდენტ ბერუტს.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ოსუბკა-მორავსკი, რომელიც გულთბილად მიესალმა სტუმარს და გმირ იუგოსლაველ ხალხს. მარშალი ტიტო, ისევე როგორც მთელი იუგოსლაველი ხალხი, ამბობს ოსუბკა-მორავსკი განსაკუთრებით პოპულარული არიან პოლონეთში. ჩვენი ხალხების ბედიღბალი, ამბობს იგი, ერთნაირი იყო გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა, ომის დამთავრების შემდეგ, დადგა მშვიდობიანი თანამშრომლობის პერიოდი. პრემიერმა დღეგრძელობა უსურვა იუგოსლაველ ხალხს და მის გმირ მარშალს ტიტოს.

ვაგზლიდან მარშალი ბროზ-ტიტო და მისი თანხლები პირნი გაემართნენ ბელვედერში, სადაც ისინი გულთბილად მიიღო კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტმა ბერუტმა.

კომუნიკე იტალია-იუგოსლავიის საზღვრის დადგენის შესახებ

ტრიესტი, 12 მარტი. (საკდესი). 1946 წლის 28 თებერვალს გაკეთებული განცხადების შესაბამისად, ტრიესტში ჩამოვიდა იტალია-იუგოსლავიის საზღვრის დამდგენი ექსპერტთა კომისია. შაბათს, 1946 წლის 9 მარტს, კომისია შეუდგა იმ ამოცანების განხილვას, რომლებიც მას მისცა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირმა.

კომისიაში თავმჯდომარეობას რიგრიგობით გასწევენ ოთხი დელეგაციის მეთაურები.

დელეგაციების მეთაურთა და ექსპერტთა გვარებია: საფრანგეთი — ვოლფრამი (დელეგაციის მეთაური), ვილერს ლანო; სსრ კავშირი—გერაშჩენკო (დელეგაციის მეთაური), ტოკარევი, კოჩეტოვი, ინგლისი—უოლდოკი (დელეგაციის მეთაური), სტაფორდი, ლაფანი; ამერიკის შეერთებული შტატები — მოზლი (დელეგაციის მეთაური), გუტე, ანგერი.

სიღნაღის თეატრი

მიმდინარე სეზონი სიღნაღის თეატრმა გახსნა „ქამთაბერის ასულით“. წელს დაიდგა აგრეთვე „ტირიფის ქვეშ“, „ციმბირელი“ და „უდანაშაულო დამნაშავენი“.

როლების შესრულებით მაყურებლის ყურადღება დაიმსახურეს მსახიობებმა ნ. ზალდასტანიშვილმა, გ. ბაშინჯაგოვამ, თ. მენთეშაშვილმა, კ. ჭრელაშვილმა, გ. დენისაშვილმა, მ. ნადირაძემ, მ. ხუციშვილმა, რ. აბრამოვმა და ვ. თანდაშვილმა.

ამჟამად თეატრი ამზადებს გ. ქელბაქიანის „შესაფერ ჯილდოს“. განახლდება „ხევისბერ გოჩას“ და „არშინ მალ-ალანის“ დადგმები.

ქრონიკა

17 მარტს, დილის 11 საათზე, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის აუდიტორიაში (მარის ქ. № 1, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა) დანიშნულია საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოების სხდომა, რომელზეც მოხსენებას გააკეთებენ:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი პროფესორი ვ. ვ. ვორონინი—პერიფერიული ნერვის ზოგადი მორფოლოგია.
2. დოცენტი ს. პ. ნარიკაშვილი—აფერენტულ სისტემათა შორის ურთიერთმოქმედების საკითხისათვის.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

16 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათ მუშაკებისა და საწარმოთა პარტკაბინეტების გამგეებისთვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია. თემა: **„ამხანაგ სტალინის შრომა „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“.**

ლექციას წაიკითხავს დოცენტი **გორგილაძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 17 მარტს, დილის 10 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

კინოებში

16 მარტს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და 26 კომისრის სახელობის—„დავით გურამიშვილი“. დამკვრელი—„სილვა“. კომკავშირელი—„უმზითვო“. სპარტაკი—„შვეიკის ახალი მოგზაურობა“. **ლუქსემბურგის სახელობის**—„არშინ მალ-ალან“. **ოფიცერთა სახლი**—„ტყუპე“.

მოქალაქე **ნინო სამსონის-ასულმა ჯანაშიამ,** მცხოვრებმა I ირიბის ქ. № 5, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **დავით ბესარიონის-ძე ჯალაღანიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სერგი ნიკოლოზის-ძე მიტურსკიმ,** მცხოვრებმა ლენინის ქ. № 6, აღძრა საქმე ვოლოდარსკის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე **ტატიანა ბორისის-ასულ ლუნიაკინასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მინა, ილიკო, ტასიკო, ქეთო მალანიები, მარო, შოთა, ვახტანგ ბუგუშვილები იუწყებიან საყვარელი ძმისა და ბიძის **ევგენი სეხნიას-ძე მალანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/III, ცხაკაიას რაიონი, სოფელ ფოცხოში.

მეუღლე სოფიო რატიშვილი, და ვალენტინა კორძახია იუწყებიან, რომ 17/III, [illegible] ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **პოლიკარპე თალაქვაძის** პანაშვიდი.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექცია, პარტორგანიზაცია და პროფკომი იუწყებიან, რომ 17/III, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვახტანგ დავითის-ძე ზულიაშვილის** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3 82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81 84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3 51-81, სტამბის დირექტორის—3 77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00036